



K 248-037  
3

გერამ გარებე

გასაღები  
გელა ვიკარის არქივიდან

შეცნობის  
1981

საქართველოს სსრ მთხოვნეულობათა პრედენია

შოთა რუსთაველის სახელობის ჩართული ლიტერატურის ისტორიის  
ცნობილები

გურამ შარაში

მასალები

გელა გიგარის არქივიდან

სურა 1981 -

ცხრა ჯგუფი 10 მე

ვ 38 წ -

10. XI. 81



გამოიცემლობა „მთხოვნეულა“

თბილისი

1981

894.631.092



8 Г 1

83.3 Гр 1

899.962.1.092 [რუსთაველი]

გ 254

2.30 ბიბლიოთეკის აღმართვა

წინამდებარე ნაშრომში განხილულია უნგრეთის  
სახალხო რესპუბლიკის არქივებში მოძიებული მასა-  
ლები და მოცემულია მათი მეცნიერული ანალიზი.  
ზოგიერთი ახლად მიყელეული მასალის საფუძველზე  
იგი შექმნილია ვეფხისტყაოსნის პირველი უნ-  
გრული თარგმანის ისტორიას, რომელიც შეასრულა  
გამოჩენილმა უნგრელმა მეცნიერმა და მთარგმნელმა  
ბელა ვიკარმა (გამოიცა ბუდაპეშტში 1917 წელს).

რედაქტორი ს ა რ გ ი ს ც ა ი შ ვ ი ლ ი



70202  
მ 607(06)-81 117-81

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1981



## შ 0 ს ა ვ ა ლ ი

დღემდე შეუნელებელ ინტერესს იწვევს ვეფხისტყაოსნის პირ-ველი უნგრული სრული პოეტური თარგმანის ისტორია, უნგრულ-ფინური ფოლკლორისა და ეთნოგრაფიის ცნობილი მკვლევრის, უნ-გრულ ენაზე „კალევალას“ უძადლო მთარგმნელის, უნგრეთის მეც-ნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტისა და ფინეთის მეცნიე-რებათა აკადემიის საპატიო წევრის, პროფესორ ბელა ვიკარის (1859—1945) მიერ ამ მიმართულებით გაწეული კეთილშობილური შრომა და ლვაწლი, რომელსაც (აღრინჯელ ქართულ და უნგრულ პრესა-ში გამოქვეყნებულ რეცენზიებს რომ თავი დავანებოთ) თავიანთი წერილები და გამოკვლევები მიუძღვნეს დ. რადმ, მ. იშტვანოვიჩ-მა, ლ. ტარდიმ, პ. შელევნა, გ. ბაქრაძემ, გრ. წერეთელმა, გ. ჩი-მიაძემ, ს. კლდიაშვილმა, ალ. ბარამიძემ, ი. მეგრელიძემ, ლ. მე-ნაბდემ, ს. თურნავაძემ, ჭ. გაგიძემ და სხვებმა, რომელთა შორის, რამდენიმე ნაშრომი ჩვენც გამოვაქვეყნეთ<sup>1</sup>. ცალკე აღნიშვნის ლირ-სია კრებული „შოთა რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“ (მთ. რედაქტორი ლ. მენაბდე, ტ. II, თბ., 1978), რომელშიც შესუ-ლია რჩეული უნგრული რუსთველოლოგიური ლიტერატურის ქარ-თული თარგმანები—ვრცელი კომენტარებითა და ბიბლიოგრაფიით.

ბელა ვიკარის თარგმანის (ზუდაპეშტი, 1917 წ.) გარდა, უნგ-რულ ენაზე დღესდღეობით არსებობს ვეფხისტყაოსნის შანდორ გეორგისეული სრული პოეტური თარგმანი (1954 წ.), რამდენიმე პრიზად გარდათქმული შინაარსი (არპად ზემპლენის, იოჟეფ ფა-რაგოს და იოჟეფ რომანისა) და კიდევ, როგორც ამას ჭ. გაგნიძემ მიძიეცია ყურადღება, პოემის ორი სტროფის (962,967) იშტვან კო-მიატისეული თარგმანი<sup>2</sup>.

<sup>1</sup> გ. შარაძე, ქართული სიძეველენი ბუდაპეშტში, „ლიტ. საქართველო“, 7. VIII. 1970; მისივე, სამეცნიერო ექსპედიცია უნგრეთში, წიგნში: „არქეოგრა-ფიული ძებანი“, თბ., 1973, გვ. 157—163; მისივე, ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანი, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 11. II. 1975; მისივე, მიხაი ზიჩი და ქართუ-ლი კულტურა, თბ., 1979, გვ. 94—109.


<sup>2</sup> დაწვრილებით მათ შესახებ იხ. დ. Радо, Венгерская критическая литература о поэме «Витязь в тигровой шкуре» Шота Руставели и о венгер-



სურ. 1. ბელა ვიკარი—ვეფხისტყაოსნის უნგრელი მთარგმნელი

ских переводах, иллюстрациях и изданиях поэмы, ярко. «Литературные взаимосвязи», II, Тб., 1969, с. 5—23; однажды же в Баку в 1969 году вышла книга Радо Г. Rusztaveli eposza és a Magyarok, «Világírodalmi Figyelő», Budapest, 1962, № 1, с. 40—50, в которой упомянута и наша книга «Шемореке-Бурело» в главе «Архитектурное творчество Ахштырского». В 1978 году в журнале «Литература и искусство» № 10 опубликована статья «Литературные связи в романе „Лораки“» («Лораки»), в которой говорится о связи романа с романом Руставели. В 1978 году в журнале «Литература и искусство» № 10 опубликована статья «Литературные связи в романе „Лораки“» («Лораки»), в которой говорится о связи романа с романом Руставели.

ამათ გარდა, გამოჩენილი უნგრელი პოეტების დღულა იქმნება  
 და შანდორ ვეორეშის ცნობით, არსებულა ვეფხისტყაოსნის მესა-



სურ. 2. ბელა ვეკარი

მე სრული პოეტური უნგრული თარგმანი, შესრულებული გეზა  
 შუპას (1883—1956) მიერ. აღნიშნულ ცნობაში აღრე ეჭვი შეკ-  
 ქონდა ჭ. გავნიძეს: „ურნალ „ორსაგ-ვილაგში“ დ. იქშის განცხა-  
 თობი“, 1974, № 8; ჭ. გაგნი დ. ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანები,  
 თბ., 1975; კრებული „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, მთავარი რე-  
 დაქტორი ლ. მენაბდე, თბ., 1978, გვ. 16—18, 37—39, 101—144,  
 390, 406—413.

დება, გეზა შუპას მიერ ვეფხისტყაოსნის თარგმანზე, საეჭვოდ მიგვაჩნია. მით უმეტეს, რომ ამის თაობაზე არაფერია ნაჯვაში „უნგრულ ლიტერატურულ ლექსიკონში“, რომელიც ყველაზე სრულ და სანდო წყაროდ არის მიჩნეული უნგრეთის ლიტერატურულ წრეებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვეფხისტყაოსნის მთარგმნელის შანდორ ვეორეშის მიხედვითაც არსებობს პოემის შესამე პოეტური თარგმანი, მაგრამ მისი მთარგმნელი ვეორეშისათვის უცნობია. ჩეკენი აზრით, როგორც დ. ივ შის, ასე-ვე შ. კეორგეშის განცხადება ვეფხისტყაოსნის მესამე პოეტური თარგმანის არსებობის შესახებ, ნაკლებად სარწმუნოა, რადგან არც ერთ მათგანს ეს თარგმანი პირადად არ უნაბავს. ამ თარგმანის წესახებ არავითარი ბიბლიოგრაფიული მონაცემი არ მოიპოვება ბუდაპეშტის სეჩენის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკასა და უნგრეთის ცეცნირებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდებში. ამდენად, ეს საკითხი ჯერჯერობით გადაუწყვეტელი რჩება<sup>3</sup>.

1973 წლის პრილ-მაისში უნგრეთში სამეცნიერო მივლინების დროს საგანგებოდ დავინტერესდით გეზა შუპას თარგმანის ბეჭით. სეჩენის სახელობის მუზეუმში ამის თაობაზე გათხრეს, რომ გეზა შუპას გარდაცვალების (1956 წ.) შემდეგ მისი არქივი პოეტის ქალიშვილის განკარგულებაშია, რას გამოც დღემდე დაუმუშავებელია და ყველასთვის ხელისურველი; შეიძლება, ეს თარგმანი (თუკი იგი მართლაც არსებოდა!), სწორედ იქ ინახებოდეს.

აღნიშნული შეხედულების დასაბუთება ვლადეო 1974 წელს შესრულებულ წლიურ ნაშრომში<sup>4</sup> და აგრეთვე 1975 წლის 11 ოქტომბრის გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებულ წერილში: „დაულა იეშისა და შანდორ ვეორეშის ცნობით, არსებულა ვეფხისტყაოსნის მესამე სრული პოეტური უნგრული თარგმანი, შესრულებული გეზა შუპას (1883—1956) მიერ. ეს თარგმანი არ

<sup>3</sup> გ. გავნი დ. ვეფხისტყაოსნის უნგრელი მთარგმნელები და თარგმანები (საკანდ. დისერტ. ხელნაწერი, დაცულია რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში), თბ., 1973, გვ. 33—34, (ბაზა ყველგან ჩევნია. გ. შ.); ჯ. გაგნიძე, ვენგრების მთარგმნელები და თარგმანები («Витязь в тигровой шкуре», (автореферат), Тб., 1973).

<sup>4</sup> მოხსენდა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორია ტურის რუსთაველობრივისა და ქეველი ქართული მწერლობის განყოფილებათა გაერთიანებულ სხდომას 1974 წლის 31 ოქტომბერს, აქმი № 16, (რეცენზენტები ფილ. მეცნ. ღმერტორი ნ. მახათაძე და ფილ. მეცნ. კანდიდატი ლ. ანდლულაძე).

ჩანს და შეიძლება მთარგმნელის პირად არქივში ინახებოდეს, რომელიც ჯერჯერობით დაუმუშავებელია<sup>5</sup>.

1975 წელს გამოქვემდლაბა „მეცნიერებამ“ გამოსცა ჭ. გაგნიძის წიგნი „ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანები“, რომელშიაც აეტორს შეუცვლია ამ საკითხზე თავისი ადრინდელი შეხედულება. მას მოჰყავს 1966 წლის 9 ოქტომბერს გაზ. „ნეპსაბალშაგში“ გამოქვეყნებული ცნობილი უნგრული პოეტის, კოშუტის პრემიის ლაურეატის ლასლო ბენიამინის ინტერვიუ, რომელშიც ვეფხისტყაოსნის გეზა შუპკასეულ თარგმანზე დ. იეშისა და შ. ვეორეშის ანალიზი ცნობა მოწოდებული<sup>6</sup>, რაც დამატებით ახალი საბუთია შუპკასეული თარგმანის არსებობის სასარგებლოდ: „ამ უნგრელ პოეტთა (დ. იეშის, შ. ვეორეშის, ლ. ბენიამინის) განცხადება, თუმცა არც ერთ მათგანს ეს თარგმანი საკუთარი თვალით არ უნაზავს მეტად საგულის ხმოდ გვეჩვენება. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ თარგმანის შესახებ არავითარი ბიბლიოგრაფიული მონაცემი არ არსებობს ბუდაპეშტის სეჩენის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკასა და უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ფონდებში. მიუხედავად ამისა, ამ მიზართულებით გვიმავალში საჭირო იქნება დიდი გაგრძელება<sup>7</sup>.“

დ. რადოს სიტყვებით, „ქართული ლიტერატურის გაცნობა და მისი შესწავლა უნგრეთში იწყება XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში და დაკავშირებულია ორი უნგრელი ენტუზიასტის სახელებთან, რომლებიც ფართოდ არიან ცნობილი საქართველოშიც: მხატვარ მიხაი ზიჩისა (1827—1906) და მთარგმნელ-ეთნოგრაფ ბელა ვიკარის (1859—1945) სახელებთან“<sup>8</sup>.

მართალია, ვეფხისტყაოსნის პირველი უნგრული თარგმანის ისტორიის შესახებ უკვე საკითხო ლიტერატურა დაგროვდა და ამ თარგმანთან დაკავშირებით ბევრ საკითხს თითქოს შუქიც მოეფინა, მაგრამ ირკვევა, რომ ზოგიერთ მათგანზე სპეციალისტთა შორის მაინც აზრთა სხვადასხვაობაა. ზოგჯერ კი დაშვებულია ფაქტო-

<sup>5</sup> გ. შარაძე, ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანი, „ახალგაზრდა კოშუნისტი“, 11. II. 1975; შდრ. გ. შარაძე, მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა, თბ., 1978, გვ. 94—95.

<sup>6</sup> Barátok között, Benjámin László a magyar íróküldöttség szovjetunióbeli útjáról, გაზ. «Népszabadság», 9. X. 1966.

<sup>7</sup> გ. გოგიძე, ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანი, თბ., 1975, გვ. 29.

<sup>8</sup> დ. რადო, დას. ნაშრ., გვ. 5; ქართ. თარგმ., გვ. 124.

ბრივი უზუსტობანიც. ამის მიზეზი, პირველ რიგში, საჭირო მასა-  
ლებისა და დოკუმენტების უქონლობასა თუ უკმარისობაში უნდა  
ვეძიოთ.


ამიტომ, ვფიქრობთ, ამ მიმართულებით გადადგმულ ყოველ  
ახალ ნაბიჯს გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება წარსულში ქართულ-  
უნგრულ კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობათა უკეთ წარ-  
მოსაჩენად<sup>9</sup>.

---

<sup>9</sup> აქვე გვსურს მადლობა მოვახსენოთ პროფ. ლ. მენაბდეს, რომელმაც  
თავაზიანდ დაგვითმო სარგებლობისათვის ზოგიერთი ბიბლიოგრაფიული პირველ-  
წყარო, აგრეთვე, ახალგაზრდა მთარგმნელს ვანო იმერლიშვილს უნგრული  
საეცალური ლიტერატურის გაცნობისათვის.

ვაჭხისტყაოსნის ბეჭა ვიკარიდეული თარგმანის  
ისტორიისათვის

როგორც უკვე ითქვა, დღეს უნგრულ ენაშე რუსთველის პოე-  
მა რამდენჯერმე არის ამეტყველებული. და აქ, უწანარეს ყოვლი-  
ცა, უნდა მოვიხსენიოთ დიდი უნგრელი მხატვრის მიხაი ზიჩის



სურ. 3. მიხაი ზიჩი—უეფხისტყაოსნის უნგრელი ილუსტრატორი

(1827—1906) ლაშვლი, რომელმაც თავის თანამემამულეთა შორის პირველმა გაუკაფა გზა რუსთველის სახელსა და მის ქმნილებას.

ცნობილია, რომ შოთა რუსთველი და მისი ვეფხისტყაოსანი პირველად უნგრულ ენაზე ნახსენებია 1884 წელს უსრნალ „კოსორუში“ გამოქვეყნებულ წერილში „მიხი ზიჩი ქართულ ლიტერატურაში“, სადაც ნათქვამია:

„ქართული ლიტერატურის უდიდესი სიამაყეა რუსთველის დიალი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ („ვეფხის ტყავი“). 1593 სტროფისაგან შემდგარი თხზულების მდიდრულად გაფორმებული გამოცემა უახლოეს მომავალში იხილავს დღის სინათლეს. ჩვენს თანამემამულეს მხატვარ მ. ზიჩის სთხოვეს თხზულებისათვის ილუსტრაციების მომზადება. ერთმა ქართველმა ლიტერატურის მოყვარულზა გ. ქართველიშვილმა ათი ათასი მანეთი შესწირა გამოცემის ხარჯების დასაფარავად, პოემა მალე ხელმისაწვდომი გახდება ევროპელი მკითხველისათვისაც, რადგან თბილისის „კავკაზის“ რედაქციის ერთ-ერთ თანამშრომელს ი. მეუნარგიას იგი ფრანგულ ენაზე უთარგმნია<sup>2</sup>.“


ვეფხისტყაოსნის ეს გამოცემა მ. ზიჩის შესანიშნავი ილუსტრაციებით მართლაც განხორციელდა 1888 წელს და გიორგი ქართველიშვილის გამოცემის სახელითა ცნობილი. ამის შემდგე მ. ზიჩიმ ითავა მეორე დიდი კეთილშობილური წამოწყება—ცნობილ უნგრელ მეცნიერსა და მთარგმნელს ბელა ვიკარს შთაავონა მშობლიურ ენაზე ეთარგმნა და თავისი ხალხისათვის გაეცნო რუსთველის უკვდავი ქმნილება. ლ. ალიოშინას სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ამით ზიჩიმ ხელი შეუწყო საქართველოს ფარგლებს გარეთ მისი უდიდესი ეროვნული პოეტის ქმნილების პოპულარიზაციას“<sup>3</sup>.

ფინური ეპოქის „კალევალას“ უნგრულ თარგმანზე მუშაობისას 1889 წელს ბელა ვიკარი სოფელ ლახტაში შეხედრია მიხაი ზიჩის. მას სურდა გამოჩენილი მხატვარი დაეყოლიებინა „კალევალას“ დასურათებაზე, მაგრამ მომხდარა პირიქით: მ. ზიჩიმ მას გააცნო ვეფხისტყაოსნის 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემა, ბრწყინვალედ ილუსტრირებული თვითონ მის მიერ და უჩნია ახალგაზრდა უნგრელ მთარგმნელს მშობლიურ ენაზე გადაელო

<sup>1</sup> დაწვრილებით იხ. ბ. გორგეზიანი, ზიჩი საქართველოში, თბ., 1966; გ. შარაძე, მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა, თბ., 1978.


<sup>2</sup> იხ. ერებული: „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978 (თარგმან ჭ. გაგნიძისა), გვ. 102; შდრ. დ. რადი, დასახ. ნაშრ., ვვ. 6; ლ. მენაბედე, დასახ. ნაშრ., ვვ. 183—184; ჭ. გავნიძე, დასახ. ნაშრ., ვვ. 7.

<sup>3</sup> Л. Алешина, Михай Зичи, М., 1975, с. 135.



Տպ. 4. Հայության ըստ լուսանկարների գրքահամար շնչառական շնչառական տարրման  
(ծրագրված, 1917) գաղցան

# Zichy Mihály illuszi trációi



26 műlap  
Rusztaveli grúz költő

Tariel  
a párdubörös lovag

című hőskölteményéhez



Budapest, 1917.

Mihenacum irodalmi és nyomdaüzleti  
kiadása.

Եղբ. 5. Յեղեկոսիպառևոն Յոյարևուլո Մեցրւլո თարգմանու  
• (Ցուցապեշտո, 1917) ԿոնტրՌէ՛ւլո



იგი<sup>4</sup>. 1912 წელს „ბუდაპეშტი სემლეში“ გამოქვეყნებულ წერტილის ში, აგრეთვე კეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანის (ბუდაპეშტი, 1917) წინასიტყვაობაში ბელა ვიკარი ასე გადმოგვცემს ამ ამბავს:

„მე მას ვესტუმრე როგორც მხატვარს იმ მიზნით, რომ მასში ინტერესი გამეღვივებინა „კალევალას“ მიმართ. მე მინდოდა, უბადლო ილუსტრატორი როგორმე დამეყოლიებინა, ხელი მოეკიდა ცნობილი ეპოსის დასურათებისათვის, რადგან იგი სწორედ შესაფერ ძალას წარმოადგენდა ჩემთვის... საქმე ისე წარიმართა, რომ ეს საგანგებოდ აწყობილი გეგმა ჩამეშალა, ზიჩიმ მდიდრულად დასურათებული წიგნი მიჩვენა, რომელიც იმ ხანებში იყო გამოცემული. ჩემს წინაშე იდო ჩემთვის უცნობ ენაზე, უცხო შრიფტით დაბეჭდილი, ქართველი ერის უდიდესი პოეტის შოთა რუსთაველის რომანტიკული ეპოსი, მიხაი ზიჩისავე ილუსტრაციებით“<sup>5</sup>.

ან კიდევ: „ფინეტში პირველი მოგზაურობის დროს, 1889 წლის ზაფხულში, ვესტუმრე ჩეენს სახელგანთქმულ მხატვარს მიხაი ზიჩის. მან პეტერბურგის მახლობელ პატარა ფინურ სოფელ ლახტაში მიმილო და ჩემდამი ისეთი განუმეორებელი თავაზიანობა და უნგრული სტუმართმოყვარეობა გამოიჩინა, რომლითაც სარგებლობდა ყოველი ჩეენი თანამემამულე, რომელიც მის ნახვას მოისურვებდა. მ. ზიჩიმ მაჩვენა მდიდრულად გაფორმებული წიგნი, რომელიც იმ ხანებში იყო გამოცემული. ჩემს წინაშე იდო ჩემთვის უცნობ ენაზე, უცნობი შრიფტით დაბეჭდილი ქართველი ერის უდიდესი პოეტის, XII საუკუნის მოღვაწის, შოთა რუსთაველის რომანტიკული ეპოსი მ. ზიჩის ილუსტრაციებით“<sup>6</sup>.

ბელა ვიკარი იგონებს მიხაი ზიჩის ნამბობს საქართველოში

<sup>4</sup> გ. ბაქრაძე. Tariel (კეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანის ისტორიასთვის), „ლიტ. გაზეთი“, 12. XII. 1934; ვ. წერეთელი, კეფხისტყა—ოსანი უნგრულ ენაზე, „ლიტ. მექანიზრეობა“, I, თბ., 1935, გვ. 661—664; ვ. ჩიმაკაძე, ქართული კულტურის მოძრავე, „ლრობა“, 1959, № 9 გვ. 8—9; ბ. გორდეზიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 80—85; ალ. ბაქრაძი ძე, შოთა რუსთველი, თბ., 1966, გვ. 366; 1975, გვ. 331; ი. მეგრელი ძე, რუსთველოლოგი, თბ., 1970, გვ. 246—248. ლ. ტარლი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან: თბ., 1968, გვ. 26—27; დ. რადი, დასახ. ნაშრ. გვ. 9—10; ლ. მენაბდე, დასახ. ნაშრ., გვ. 184; ქ. გაგიძი ძე, დასახ. ნაშრ., გვ. 8—11; გ. შარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 96.

<sup>5</sup> V i k a r B., Rusztaveli Georgiai költő és műve, «Budapesti Szemle» 1912, № 152, გვ. 271. მოვცყავს ქ. გაგიძის თარგმანის მიხედვით: იხ. კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 103.

<sup>6</sup> V i k a r B., Elösz: Rusztaveli, Tariel, a párdubc bőröslovag.., Budapest, 1917, გვ. 3; მოვცყავს ქ. გაგიძის თარგმანის მიხედვით: იხ. კრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 103.

ეფთხისტყაოსნის ცოცხალი სურათების დადგმისა და პოემის ილუსტრაციაზე  
ტრაკიებზე მუშაობის შესახებ<sup>7</sup> და დასტენის: „როგორც ჩანსამარტინი  
პირველმა წამოწყებამ, რომელმაც დიდი წარმატებით ჩაიარა, ლი-  
ტერატურისა და ხელოვნების ქართველ თაყვანისმცემელთა შორის  
ვეფთხისტყაოსნის მ. ზიჩის შემწეობით დასურათების აზრი მოამ-  
წიფა. რამდენიმე წლის შემდეგ მ. ზიჩი განმეორებით მოხვდა  
თბილისში. იგი ამჯერად ახლდა ალექსანდრე მესამეს, რომელაც  
ამ მხარეში მოგზაურობდა. მეფეს ქართველთა დელეგაცია ეახლა  
და მას შემდეგი თხოვნით მიმართა:

—თქვენ უდიდებულესობავ, თქვენ გყავთ ცნობილი მხატვა-  
რა, ჩვენ კი ცნობილი პოემა გვაქვს. ნება გვიბოძეთ, ისინი ერთ-  
მანეთან დავაკავშიროთ. გოხოვთ, ნება დართოთ თქვენს მხატვარს,  
ერთი-ორი თვე აქ დარჩეს და ჩვენი დიდი პოეტის თხზულება და-  
გესურათოს მდიდრული ეროვნული გამოცემისათვის.

მეფემ მ. ზიჩის ჰკითხა: გინდა? მე არაფერი მაქვს საწინააღ-  
მდეგო.

მხატვარმა განაცხადა, რომ იგი კეთილშობილ ქართველ ერს-  
დიდი სიამოენებით შეუსრულებს სურვილს. მეფის ნებართვით  
იგი რამდენიმე თვეს დარჩა საქართველოში. მას ე პოსის ში-  
ნაარსს რუსულად უთარგმნიდნენ. დიდ დახმარებას-  
უწევდნენ მოსამზადებელ სამუშაოებში, რომელთაც იგი უსაზღვ-  
რო მონდომებით შეუდგა იქ, სადაც მიმდინარეობდა პოემაში აღწე-  
რილი მოქმედება.

ასე შეიქმნა ვეფთხისტყაოსნის დიდებული ილუსტრაციები,  
რომელიც თვითონ მ. ზიჩისაც კა ყველაფერს ერჩია. მას შემდეგ,  
რაც მდიდრულად გაფორმებული წიგნი გამოიცა, ილუსტრაციები  
მ. ზიჩისავე ხელით მიწერილი გამნარტებებით სხვადასხვა უცხოურ  
გამოფენაზე მრავალმა დამთვალიერებელმა ნახა და მოიწონა. მ. ზი-  
ჩი ჩემთან საუბრისას ილფრონვანებით იგონებდა, თუ თბილისში-  
ყოფნის ღრის ქართველი დიდებულები რა დიდი სიყვარულით  
უმართავდნენ მას ზეიმებს მისადმი ღრმა პატივისცემისა და იღია-  
რების ნიშანად. საქართველოში მისი სახელი ისევე პოპულარული  
გახდა, როგორც თამარ მეფისა ან რუსთველისა“<sup>8</sup>.

ბელა ვიკარს თავის მოგონებაში რამდენიმე უზუსტობა მოსვ-  
ლია: 1888 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ალექსანდრე მესამის.

<sup>7</sup> დაწვრილებით იხ. გ. შარაძე, მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა,  
თბ., 1978, გვ. 36—62.

<sup>8</sup> Víkar B., Elésző..., გვ. 4; ქართული თარგმანი გ. გაგუნიძისა, დასახ.  
კრებული, გვ. 103—104.



საქართველოში ჩამოსვლის დროს, რომელსაც თან მ. ზიჩიც ახლა  
და, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციები მხატვარს უკვე კარგა ხროვა  
დამზადებული ჰქონდა და ისნი დაბეჭდილიც იყო პოემის ქართვე-  
ლიშვილისეულ გამოცემაში (გამოიცა თბილისში 1888 წლის ა-  
რილ-მაისში, ხოლო ამ წიგნში ჩართული მ. ზიჩის ილუსტრაციები,  
რომელთა კლიშეები ვენაში დამზადდა, დაბეჭდა ლაიფციგსა და  
პეტერბურგში). მაშასადამე, ალექსანდრე მესამესთან ქართველების  
დელეგაციისა და მ. ზიჩის დიალოგები ვეფხისტყაოსნის დასურა-  
თების თაობაზე, ბ. ვიკარის ფანტაზის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს.  
ალსანიშნავია, რომ ვიკარის ეს მცდარი ცნობა გადასულა თანამედ-  
როვე რუსი საბჭოთა ხელოვნებათმცოდნის ლ. ალიოშინას ნაშრომ-  
შიც<sup>9</sup>. ამას გარდა, ბ. ვიკარის ცნობით, მ. ზიჩის თითქოს ვეფხის-  
ტყაოსნის „შინაარსს რუსულად უთარგმნიდნენ“. სინამდვილეში კი,  
როგორც ეს კარგადაც ცნობილი, რუსთველის ქმნილების შინაარ-  
სის უკეთ გასაგებად, იონა მეუნარგიამ 1884 წელს პოემა ზიჩის  
ფრანგულად უთარგმნა, რაზედაც მხატვარს მეგობრული შარუებიც  
კი შეუქმნია (დღეს ზიჩის ეს შარუები დაცულია ზუგდიდის სახელ-  
მწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში, ხოლო ვეფხისტყა-  
ოსნის მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი ჯერჯერობით დაკარ-  
გულად ითვლება)<sup>10</sup>.

მიუხედავად ამ უზუსტობებისა, ბელა ვიკარის ნათქვამიდან  
მთავარი მაინც ისაა, რომ ვეფხისტყაოსნის უნგრულად თარგმნის  
ინტერესი მისთვის მიხაი ზიჩის გაუღვიძებია:

„გადათარგმნეთ ეს პოემა! — მითხრა მან.

იმ ხანებში, როცა ყოველივე ამას მ. ზიჩისაგან ვისმენდი, იმ-  
დენად ვიყავი დაკავებული „კალევალას“ თარგმნით, რომ რუსთვე-  
ლის ნაწარმოების თარგმაზე ფიქრიც კი არ შემეძლო. მაგრამ დი-  
დი მხატვრის შთამავრნებელი სიტყვები არ დამვიწყებია...“<sup>11</sup>.

1908 წელს ბ. ვიკარმა დაასრულა „კალევალას“ თარგმნა, რი-  
თაც „შესანიშნავმა მცოდნემ არა მარტო ფინური ენისა, არამედ  
ფინელი ხალხის ცხოვრებისა, ბ. ვიკარმა შეძლო უნგრული ლიტე-  
რატურის გამდიდრება „კალევალას“ მშვენიერი, ჯერაც სწორუბო-  
ვარი თარგმანით“<sup>12</sup>.

<sup>9</sup> Л. А л е ш и н а , Михаи Зичи, М., 1975, с. 134.

<sup>10</sup> გ. შარა ძ. ვეფხისტყაოსნის მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანის  
ფრაგმენტები, „მაცნე“, 1968, № 4, გვ. 116—170; G. Saradze, Zichy  
Mihály publikálatlan gúnyrajzai es illusztrációi Iona Meunargijárol es S.  
Rusztaveli., «Müveszet értesítő», Budapest, 1971, XX/4, გვ. 51—54.

<sup>11</sup> V i k a r B ., Elöször..., იქნ.

<sup>12</sup> Д. Радо, დასახ.. ნაშრ; გვ. 9., ქართ. თარგმ. ო. გოლიაძისა, ქრებ.  
„რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, გვ. 126.



ახლა უკვე შეიძლებოდა ზიჩისთვის გერ კიდევ ოცი წლის შემდეგ მათ მიცემული სიტყვის შესრულება; უკეთ, დადგა დიდი მხატვრის გულმხრვალე თხოვნის ასრულების დროც. ბ. ვიკარი (1912, 1917 წ.) გვიამბობს:

„ხელი მოვკიდე ქართული ენის შესწავლას. სამწუხაროდ, მალე დავრჩმუნდი, რომ დამოუკიდებლად ქართულს, მსოფლიოს ერთ-ერთ უძნესეს ენას, ვერასოდეს დავეუფლებოდი ისე კარგად, რომ პოეტის ქმნილების თარგმნა გამებედა“<sup>13</sup>.

უფრო დაწვრილებით ქართული ენის შესასწავლად გადადგმულ პირველ ნაბიჯებზე ბ. ვიკარი მოგვითხოვთ 1942 წელს გამოქვეყნებულ წერილში:

„გერ კიდევ ომისწინა წლებში შევიძინე გერმანელი დირის ქართული გრამატიკა ოსკარ აშბოთის წინასიტყვაობით გერმანულ ენაზე. დავიწყე სწავლა. საყმაო წარმატებებსაც მივაღწიე; ასე რომ, გროვგარი თვითდარწმუნებით ავიღე ხელში რუსთაველის შედევრი, მაგრამ არაფერი გმომივიდა, ერთი-ორი სიტყვა-და თუ გავიგე მხოლოდ“<sup>14</sup>.

აქ ბ. ვიკარის მიერ მოხსენიებულ „გერმანელ დირის ქართულ გრამატიკაში“ იგულისხმება ადოლფ დირის (Ad. Durr) «Theoretisch-praktische Grammatik der modernen georgischen (grusinischen) Sprache...», Wien und Leipzig, (1904).<sup>15-21</sup>

<sup>13</sup> V i k a r B., Rusztaveli..., «Budapesti Szemle», 1912, № 152, 83. 273; ქ. გაგნიძის დასახ. ნაშრ., ვე. 11; V i k a r B., Elöszö..., Budapest, 1917; ქართ. თარგმ. იბ. ავრევოვ დასახ. ქრებ., ვე. 104.

<sup>14</sup> V i k a r, B., A Kalevalától a Pardubčířového lovagig, «Turán», 1942, № 1; მოგვავს მ. იშტეკანვიჩის თარგმანის მიხედვით: იბ. მ. იშტეკანვიჩი, ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანისათვის, „ლიტ. ეჭარა“, 1964, № 3, ვე. 61. (გადაბეჭდილია ქრებულში: „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, ვე. 113—116).

<sup>15</sup> შდრ. ქ. გაგნიძის ავტოგრაფის უნგრელი მთარგმნელები და თარგმანები (საცანდ. ლისერტ. ხელნაწ.), თბ., 1973, ვე. 12.

<sup>16</sup> ქ. გაგნიძე, ვეფხისტყაოსნის ვიკარისეული უნგრული თარგმანის სტორისათვის, „მაცნე“, 1972, № 2, ვე. 145.

<sup>17</sup> Д. Радо, დასახ. ნაშრ., ვე. 10.

<sup>18</sup> Istvánovits M., A magyar Rustaveliana kezdeteinél, „Vikár Béla Emlékünnepség“, Kaposvár—Hetes, 1970, ვე. 35; ქართ. თარგმანი იბ. დასახ. ქრებ., ვე. 117.

<sup>19</sup> გ. შარაძე, ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანი, „ახალგ. კომუნისტი“, 11, II, 1975.

<sup>20</sup> ქ. გაგნიძე, ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანები, თბ., 1975, ვე. 11.

<sup>21</sup> იბ. ქრებ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, ვე. 127.

ადოლფ დირის სახელმძღვანელოს გარდა, ბ. ვიკარს, მისტერიული ცნობით, ხელთ ჰქონია ზიჩისაგან ნაჩუქარი „ვეფხისტყაოსნის“ 1888 წლის ქართველიშვილისეული გამოცემის ფალი და პოემის ერთ-ერთი მერმინდელი „სახალხო გამოცემა“, აგრეთვე, დ. ჩუბი-ნაშვილის ლექსიკონი; ამას გარდა, ვეფხისტყაოსნის ლაისტისეული გერმანული თარგმანი (Dresden—Leipzig, 1889), მ. უორდორპისეული ინგლისური თარგმანი (London, 1912) და კიდევ რომელიმაც რუსული თარგმანი<sup>22</sup>. ჭ. გაგნიძის დაკვირვებით, ვიკარი „მის მთარგმნელს არ ასახელებს, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს პოემის ბარტლინსკისეული თარგმანი, რადგან ვეფხისტყაოსნის, სათაურის ვიკარისეული გააზრება «Tariel, a párduebörös lovag» წარმოადგენს ამ რუსული თარგმანის მიბაძვას (შეად. „Тарель, барсова кожа“). არც ერთ სხვა რუს მთარგმნელს პოემის სათაური ამ სახით არ უთარგმნია“<sup>23</sup>.

ჯერ ერთი, ვეფხისტყაოსნის ი. ბარტლინსკისეული რუსული თარგმანი მხოლოდ 142 სტროფს შეიცავს<sup>24</sup>, ხოლო ვიკარი თავის ცნობილ მკაცრ შეფასებაში<sup>25</sup> მხოლოდ ფრაგმენტულ თარგმანზე ასეთ დასრულებულ წარმოდგენას ვერ შეიმუშავებდა. და თუკი, ჭ. გაგნიძის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ბუნებრივია, ვიკარი, ამ თარგმანის ასეთი მკაცრი შეფასების შემდეგ, მას ნაკლებად ენდობოდა მუშაობის პროცესში“ (იქვე), რაღა მაინცამაინც „ვეფხისტყაოსნის სათაურის გააზრებაში მიბაძვდა“ მას? ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ შეიძლება უფრო მეტად იგულისხმებოდეს „Барсова кожа Руставели в рассказе И. Меняргия“,<sup>26</sup> მით უმეტეს, როგორც ვხედავთ, არც პოემის სათაურის მეუნარგიასეული გააზრებაა მაინც-დამაინც დაშორებული ვიკარისაგან. აქ თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ვეფხისტყაოსნის ი. ბარტლინსკისეული თარგმანი მაინც პოეტური იყო, რომელსაც თავის დროზე საქმაოდ მაღალი შეფასება მისცა ქართულ-რუსული ენებისა და რუსთველის პოემის ისეთმა

<sup>22</sup> «Budapesti Szemle», 1912, № 152; «Turan», 1942, № 1,

<sup>23</sup> ჭ. ვაგნიარი, დას. ნაშრ., გვ. 13.

<sup>24</sup> იხ. «Иллюстрация», № 6—7, СПб, 1845; დ. ჩუბინოვი, ქართული ქრისტონულია, II, СПб, 1846, с. IX—XXVIII; შედ. Е. С. Стalinский, Барсова кожа..., Тиф., 1888.

<sup>25</sup> V i k a r B., Rusztaveli Georgiai költő és műve, «Budapesti Szemle», 1912, № 152.

<sup>26</sup> იხ. პირველი გმოცემა: თიპ. ი. ლიберманა, თიფლის, 1888, 32 გვ; მეორე გამოცემა: თიფლის, 1890, 32 გვ.



შესანიშნავმა მცოდნემ, როგორიც იყო პროფ. დ. ჩუბინაშვილი<sup>27</sup>, (ვიკარი კი მას ვერ გაუტოლდება ვერც რუსულ-ქართული ენების და ვერც ვეფხისტყაოსნის ცოდნაში!), და ამასთან, ეს თარგმანი ამ დროისათვის ბიძლიოგრაფიულ იშვიათობასაც წარმოადგენდა (გამოქვეყნდა ვიწრო სპეციალურ გამოცემებში—«Иллюстрация-са» და „ქართულ ქრისტიანიში“ 1845-46 წწ.), უნდა ვივარაუდოთ, რომ მ. ზიჩის უახლოესმა მეგობარმა ონა მეუნარგიამ მხატვარს უსახსოვრა მის მიერ რუსულ ენაზე პროზად თავისუფლად გარდათქმული ვეფხისტყაოსნის შინაარსის 30-გვერდიანი წიგნაკი. ეს უნდა მომხდარიყო სწორედ 1888 წლის შემოდგომაზე, როდესაც მ. ზიჩი, როგორც კარის მხატვარი, იმპერატორ ალექსანდრე მესამესა და დედოფალს ჩამოჰყვა საქართველოში, ხოლო მეუნარგიასეული აღნიშნული რუსული თარგმანი, როგორც ვიცით, სწორედ ამ შემთხვევისათვის მომზადდა და გამოიცა თბილისში, რომელიც ვეფხისტყაოსნის ქართველიშვილისეულ გამოცემასთან ერთად მიართეს იმპერატორსა და დედოფალს, რის გამოც გ. ქართველიშვილმა და ი. მეუნარგიამ დედოფლისაგან იაგუნდითა და ბრილიანტებით შემცული ბეჭდები დაიმსახურეს<sup>28</sup>. მით უმეტეს მიიღებდა ამ წიგნაკს მ. ზიჩი, რაღაც მის 31—32 გვერდებზე მოთავსებული იყო «Объяснение рисунков Зичи, приложенных к грузинскому изданию «Барсовой кожи», ხოლო ზიჩისაგან, კი, ყოველი ნიშნის მიხედვით, ხელთ უნდა ჩავარდნდა ბელა ვიკარს, რომლისაგანაც მან საბოლოოდ ასეთი მეცრი შეფასება დაიმსახურა. ალბათ, ამ გარემოებამ თუ განაპირობა ბ. ვიკარის ის მცდარი ცნობა, თითქოს ზიჩის ვეფხისტყაოსნის შინაარსი რუსული თარგმანის მიხედვით გაეცნოს<sup>29</sup>. სინამდვილეში, როგორც ზემოთ ითქვა, ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებზე მუშაობის დროს ზიჩი რუსთველის პოემის შინაარსს გაეცნო მეუნარგიასეული სრული ფრანგული თარგმანის ხელნაწერის მეშვეობით, რომელიც დღეს დაკარგულად ითვლება, ხოლო მეუნარგიასეული აღნიშნული რუსული თარგმანი პირველად მხოლოდ 1888 წელს გამოვიდა, როდესაც ვეფხისტყაოსნის ზიჩისეული ილუსტრაციები, როგორც ვთქვით, უკვე ქარგა ხნის შესრულებულიც იყო და უკვე დაბეჭდილიც<sup>30</sup>.

<sup>27</sup> Д. Чубинов, Замечания на перевод Барсовой кожи, «Кавказ», 1846 6 июля, № 47, с. 106.

<sup>28</sup> იხ. „ივერია“, 1888, №№ 207, 209; შდრ. ს. ყ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვეფხისტყაოსნის რუსულ ენაზე თარგმნისა და გამოცემის პირველი ცდა, „ზუგდიდის მუზეუმის შრომები“, ტ. I, თბ., 1947, გვ. 385—386.

<sup>29</sup> V i k a r B., Előszó... გვ. 4.

<sup>30</sup> დაწვრილებით იხ. გ. შარაძე, მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა, თბ., 1978, გვ. 74—93.

ქართული ენის დასაუფლებლად გადადგმულმა პირველმა „ჯერადობა“ შიგმა ბელა ვიკარს ათქმევინა შემდეგი სიტყვები: „ჩემი წინა მე-ცადინეობის საფურცელზე დავასკვენი, რომ მე რუსთაველის ძველი ენა კი არა, რომელზეც XII საუკუნეში საუბრობდნენ, არამედ ახა-ლი ქართული ვისწავლე... რა მექნა, რომ ჩემი სიტყვა ზიჩისადმი და საუთარი თავისიადმი ლიტონ სიტყვად არ დამრჩენოდა?“<sup>31</sup>.

ნამდვილ შშელელად მას ამ საქმეში მოევლინა ერთ-ველი ახალგაზრდა კაცი, რომელიც, როგორც ეს უკანასკნელ ხანს ჩატარებული კვლევა-ძიებიდან ჩანს, ყოფილა გიორგი ცისკარაული (Ciszkalauri Giorgi—„Szivárvány György“), რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში აღირე გიორგი წიკლაურად (Ciklari György) რომ იხსენიებოდა<sup>32</sup>.

პოემის თარგმანზე მუშაობისას ვიკარი დარწმუნებულა, რომ, როგორც ფეიონი წერს, „მიზანი ზიჩი მართალი ყოფილა: ვეფხის-ტყაოსანი ნამდვილად იმსახურებს იმას, რომ ყველა ევროპელი ლიტერატორი გაეცნოს მას“<sup>33</sup>.

ვ. გაგნიძის სიტყვებით, „ცისკარაულის ბუდაპეშტში ჩასვლის-თანავე გაუგრძელებია ვიკარს ქართული ენის შესწავლა... ისინი თვეების განძილზე დღეში თხხი საათი მუშაობდნენ თარგმანზე. მთარგმნელის გადმოცემით, ცისკარაული პოემას სიტყვასიტყვით უთარგმნიდა მას ესპერანტოს ენაზე. იგი წერდა და შემდეგ ლექსად აწყობდა. ვიკარს სათარგმნელი ჰქონია კადვ 10—12 ფურცელი, როცა მისი ქართველი დამხმარე ბუდაპეშტიდან წასულა და უკან აღარ დაბრუნებულა“ (იქვე, გვ. 12). „1912 წელს ბულგარეთის ომი დაწყო და იგი მოხალისედ წაგდა ბულგარეთში“<sup>34</sup>.

მაშასალამე, ბ. ვიკარს სათარგმნელი დარჩენია პოემის ბოლო ნაწილი. მას აქაც გამოუჩნდნენ ახალი დამხმარენი. მართალია, ბ. ვიკარი სახელდებით მითითებას მათ შესახებ არ ვვაწვდის, მაგრამ პირდაპირ წერს (Turan, 1942, № 1), რომ ურთიერთობა ჰქონდა მრავალ ქართველ სამხედრო ტყვესთან, ან, როგორც მ. იშტვა-ნოვიჩი გადმოვცემს, „ვიკარი გვიამბობს თავის შეხვედრებზე ქარ-

<sup>31</sup> Turan, 1942, № 1 (მოგვყავს მ. იშტვანოვიჩის დასახ. თარგმანის მიხედვით).

<sup>32</sup> დაწვრილებით ამის შესახებ იხ. ჭ. გაგ ნი ძი ის დასახ. ნაშრ., გვ. 12—23 უფრო ადრე, დ. რაღოს, მ. იშტვანოვიჩის, ს. თურ ნავას და სხვათა წერილები, რომლებიც განხილული აქვს ჭ. გაგნიძ. (იქვე), აგრეთვე, ლ. მე ნა-ზ დი ის „რუსთაველი და უნგრეთის საზოგადოებრიობა“, „მნათობი“, 1974, № 8.

<sup>33</sup> დ. რადი, დასახ. ნაშრ., გვ. 10—11; შდრ. ქართ. თარგმ., გვ. 127.

<sup>34</sup> გრ. წერეთელი, ვეფხისტყაოსანი უნგრულ ენაზე, „ლიტ. მემკვიდ-რეობა“, I, თბ., 1935, გვ. 663.

თვეელ სამხედრო ტყვეებთან მაშინდელ ავსტრია-უნგრეთისა და შემცირებული რიცხვის სხვადასხვა კუთხეში<sup>35</sup>.

ამ „მრავალი ქართველი სამხედრო ტყვედან“ სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილი იყო მხოლოდ ორი—გრიგოლ ილარიო-



სურ. 6. გრიგოლ ილარიონის ქართველი—შელა ვიკარის დამხმარე ვეფხისტყაოსნის უნგრულ ენაშე გადათარგმნაში

ნის ქართველი და დავით სამსონის ქართველი და დავით სამსონის ქართველი თანამდებობას ვიკართან თავის თანაშრომლობაზე<sup>36</sup>, ხოლო დ. თოლორაას შესახებ პირველი ცნობები გამოაქვეყნა ს. კლდიაშვილმა<sup>37</sup>, უფრო აღრე, გაკვრით იგი ნახსენები ჰყავდა

<sup>35</sup> გ. იშტვან თვარი, ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანისათვის, „ლიტ. აჭარა“, 1964, № 3, გვ. 62.

<sup>36</sup> იხ. „ლიტ. მემკვიდრეობა“, I, თბ., 1935, გვ. 661—664.

<sup>37</sup> ს. კლდიაშვილი, არდასავიწყებელი მოლვაშვილი, „ლიტ. გაზეთი“, 11. V. 1962. გადაბეჭდილია წიგნში: ს. კლდიაშვილი, ის ბეღნიერი დღე, თბ., 1970, გვ. 31—34.



Տեր. 7. Շաբաթ տօնառնակ—ծեղլա քոյարնիս վարժապելո յոմիսուլքանքուն (Սուրանո Գաճալզիլլու 1912 թվական)

გრ. წერეთელსაც<sup>38</sup>. 1917 წელს „მადიარორსაგში“ გამოქვეყნებული რეცენზიის ანონიმ ავტორს კი გრ. წერეთელთან ერთად პ. ვიკარის დამხმარედ გამოცხადებული პყავს კიდევ ერთი ქართველი, რომლის გვარი აღარ ახსოვს, იცის მხოლოდ, რომ იგი სახელმწიფო მოხელე იყო სამეგრელოში<sup>39</sup>, პ. გაგნიძის სამართლიანი დასკვენით, „ავტორს აქ დ. თოლორაია უნდა პყავდეს მხედველობაში“<sup>40</sup>.



სურ. 8. დავით თოლორაია (სურათი გადაღებულია 1960 წელს)

მიუხედავად ამისა, სპეციალურ ლიტერატურაში მაინც იგრძნობა ბელი ვიკარის ქართველ კონსულტანტთა შესახებ არსებული ცნობების ერთგვარი სიმწირე. მაგალითად, მ. იშტგანოვიჩის აღიარებით, „სამწუხაროდ, გრ. წერეთლის ცხოვრების შესახებ არაფე-

<sup>38</sup> გ. რ. წერეთელი, დასახ. წერილი, გვ. 664.

<sup>39</sup> Magyarország, 3. VI. 1917, № 141.

<sup>40</sup> პ. გაგნიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 24.

რი ვიცით“<sup>41</sup>. მიტომ, ჩვენ საგანგებოდ დავინახერესდით ბელა ვიკარის ქართველი კონსულტანტების ვინაობით და ვეცადეთ წეგვიგროვებინა უფრო დაწვრილებითი ცნობები მათ შესახებ.

ბიოგრაფიული ცნობები გრ. წერეთელზე მოგვაწოდა მისმა მეუღლემ, იურისტმა ოლია რუსაძემ (მცხ. ქ. თბილისში, რუსთავილის პროსპექტი, № 20)<sup>42</sup>:

გრიგოლ ილარიონის ძე წერეთელი დაბადებულა 1893 წელს, ჭიათურის რაიონის სოფელ ცხრუკვეთში. მონაწილეობა მიუღლია პირველ მსოფლიო ომში. ჰქონდა სამხედრო შტაბს-კაპიტნის ჩინი. 1918 წლის დეკემბერში დაბრუნდა საქართველოში. კარგად სუოდნია გერმანული, ფრანგული და ინგლისური ენები, განსაკუთრებით, გერმანული, რის გამოც საქართველოს მთავრობაში ხშირად ასრულებდა თარჯიშის მოვალეობას. საქართველოში მოგზაურობისას მან თურმე დიდი სამსახური გაუწია ფრანგ მწერალ ქალს ოდეტ კენს (რომლის წიგნი საქართველოზე, სხვათა შორის, ნაკლებადაა ცნობილი ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში) და, აგრეთვე, გამოჩენილ ინგლისელ ქართველოლოგს, ისტორიკოს ალენს. სხვადასხვა დროს გრ. წერეთელი მსახურობდა ჭიათურის მარგანეცის ამერიკულ ფილმში „პარიზინ“, საგარეო საქმეთა სამინისტროში ალ. სვანიძესთან ერთად, უკანასკნელიდ იყო თბილისის ერთერთი დაწესებულების ეკონომისტი, ხოლო დაუსწრებლად სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე (სხვათა შორის, მის აჩქივში შემორჩენილია პროფ. არნ. ჩიქობავას, პროფ. ალ. ბარამიძის, პროფ. ვ. თოფურიას და სხვათა ლექციების ჩანაწერები), თარგმნიდა ევროპული ლიტერატურიდან. დაიღუპა 1938 წელს. გრ. წერეთლის პირადი არქივისა და ბიბლიოთეკის გადარჩენილი ნაწილი დაცულია თბილისში, მის ოჯახში (რუსთაველის პროსპექტი, № 20). აյ ინახება კერძოდ, ოდეტ კენის წიგნი საქართველოზე, ხოლო დაკარგულა ბელა ვიკარის წარწერით ნაჩუქარი ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანი (ბუდაპეშტი, 1917), რომლის შესახებ გრ. წერეთელი თავის დროზე წერდა: „ბელა ვიკარმა მაჩუქა ერთი ცალი ამ თარგმანისა თავის წარწერით ნიშნად პატივისცემისა. ეს იყო ის ცალი, რომელიც პარველი ჩამოვიდა საქართველოში. საზღვარგარეთიდან იგი მე ჩამოვიტა-

<sup>41</sup> გ. ი შ ტ ვ ა ნ ვ ი ჩ ი, უნგრული რუსთველიანის სათავეებთან, იხ. დას. ქრებ. გვ. 119.

<sup>42</sup> შდრ. გ. შ ა რ ა ძ ე, მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა, თბ., 1978, გვ. 102.



ნე დაბრუნების დროს 1918 წლის დეკემბერში<sup>43</sup>. ასევე დატარგმნებუ  
ლია მარჯორი უორდოპის სურათზე წარწერილი აკაკის ლექსი.

რაც შეეხება დავით თოლორაიას, ს. კლდიაშვილის მიერ გა-  
მოქვეყნებული და მის ნაამბობზე დამყარებული ცნობების მიხედ-  
ვით, გრ. წერეთელთან ერთად, იგი, ვიკარს თურმე ეხმარებოდა  
გიორგი ცისკარაულის ბულგარეთის ომში წასვლის შემდეგ ვეფხის-  
ტყაოსნის უთარგმნელად დარჩენილი ნაწილის გადათარგმნაში  
(გერმანული ენის მეშვეობით) და მმ საქმის „ლირსეულად დაგვირ-  
გვინებაში“; ამას გარდა, ვიკარმა „თავის სასარგებლოდ გამოიყენა  
ის გარემოება, რომ დავით თოლორაიამ კარგად იცოდა მეგრულ-  
ჟანური. თოლორაიას დახმარებით პროფესორი ვიკარი დაწვრილე-  
ბით ეცნობოდა ქართული ენის კილოებს<sup>44</sup>. აქვე უნდა შევნიშნოთ,  
რომ დ. თოლორაიას ცნობებში დაშვებულია რამდენიმე უზუსტო-  
ბა, თითქოს „მხატვარი ზიჩი და პროფესორი ბელა ვიკარი, მათ-  
თვის მოულოდნელად, შვეციის დედაქალაქში შეხვდნენ ერთმა-  
ნეთს. ...იმ დროს ზიჩის უკუე დამთავრებული ჰქონდა ვეფხისტყაო-  
სნის ილუსტრაციებზე მუშაობა და ახლა შვეციაში ჩასულიყო სკან-  
დინაველთა საგების ილუსტრაციაზე სამუშაოდ. ბელა ვიკარიც შვე-  
ციის აკადემიის მიერ მიწვეული ყოფილიყო—მას სთხოვდნენ უნგ-  
რულ და გერმანულ ენებზე საგების ტექსტის თარგმნას... ამ შეხვედ-  
რის დროს ზიჩიმ გააცნო ბელა ვიკარს ვეფხისტყაოსნის ილუსტრა-  
ციები, უამბო რუსთაველის პოემის შინაარსი... გავონილს ისეთი  
შთაბეჭდილება მოუხდენია ვიკარზე, ისეთი ლრმა ინტერესი აღუძ-  
რავს, რომ მას დროებით განზე გადაუდევს საგებზე მუშაობა და  
შესდგომია ქართული ენის და ლიტერატურის, განსაკუთრებით ვე-  
ფხისტყაოსნის შესწავლას<sup>45</sup>. აქ ერთმანეთში არეულია შვეცია და  
ფინეთი, „სკანდინავური საგები“ და „კალევალა“, ამასთან, ვიკარს  
დროებით განზე არ გადაუდევს ვითომიცდა „საგებზე“ მუშაობა,  
იგი ვეფხისტყაოსნის თარგმნას „კალევალაზე“ მუშაობის დამთავ-  
რების შემდეგ შეუდგა. ამას გარდა, ვეხვდება სხვა აღრევებიც:  
გრიგოლ წერეთლის ნაცვლად დამოწმებულია მიხეილ წერეთელი,  
ხოლო კერესელიდე— ნაცვლად გიორგი ცისკარაულისა და ა. შ.

დავით თოლორაიას შესახებ უფრო დაწვრილებით 1979 წლის  
1 დეკემბერს გვიამბო გისმა ქალიშვილმა, თბილისის უცხო ენათა

<sup>43</sup> „ლიტ. მემკვიდრეობა“, I, თბ., 1935, გვ. 663.

<sup>44</sup> ს. კლდიაშვილი, არდასავიწყებელი მოღვაწენი, „ლიტ. გაზეთი“,  
11. V. 1962.

ინსტიტუტის პედაგოგმა დიანა დავითის ასულმა თოლორაიაშ (მცხ. ქ. თბილისში, ნ. ნიკოლაძის ქ. № 4):

დავით სამსონის ძე თოლორაია დაიბაზა 1889 წელს, ზუგდიდის რ-ნის სოფელ კორცხელში, შეძლებულ ოჯახში. მამა — სამსონ თოლორაია სასულიერო პირი ყოფილა, კორცხელის ეკლესიის დეკანოზი, დედა — ათინა ანთელავა. მათ დავითის გარდა შვილი არ ჰყოლიათ. დ. თოლორაია სწავლობდა ჭერი ზუგდიდში, შემდეგ დაუმთავრებია ძველი სენაკის სასწავლებელი (მეტი განათლება მას არ ჰქონია). 1912 წელს ჯარში გაიწვიეს, 1914 წელს მოუსწრო პირველმა მსოფლიო ომშა: აცსტრია-უნგრებზე ტყვედ ჩავარდა და ხშირად მოიგონებდა: „მე და გრიშა წერეთელი ერთად ვიყავით. ერთხელ ყაზარმაში მოვიდა ბელა ვიყარი და გერმანულად იყითხა, ენი ხართ აქ ქართველებიო. ორნი ვიყავით მხოლოდ ვიკარი წავიდა უფროსთან და ითხოვა ჩვენი დათმობა; გავვათავისუფლა, წაგვიყვანა ბუდაპეშტში, ჭერ მასთან ვცხოვრობდით ბინაზე, შემდეგ სამსახურიც ვაიშოვა და ცალკე ბინაც. ვეხმარებოდით ვეფხისტყაოსნის დარჩენილი ნაწილის თარგმნაში, აგრეთვე ჩემგან იწერდა მეგრულ ლექსიკას“. 1918 წელს დ. თოლორაია ჩამოვიდა საქართველოში, ცხოვრობდა კორცხელსა და ზუგდიდში და მთელი სიცოცხლე კოოპერატორად მუშაობდა. კარგად იცოდა რუსული და გერმანული ენები, ვიკართან თურმე გერმანულად საუბრობდა. მისი მოგონებით, „ვიკარი იყო ყურადღებიანი, მომთხოვნი, დისკიპლინიანი, დიდად მოხიბლული ქართველებით. გრიშასთან [წერეთელთან] ძალიან დიდი მეგობრობა მქონდა, ერთად გავატარებ 5 წელი, აქედან 4 წელი—ბელა ვიკარის მფარველობის ქვეშ ვიყავით“. დ. თოლორაიას ბევრი ლექსი, მათ შორის, გ. ჭილადიდელის „მახსოვე პირები“ ზეპირად სცოდნია და კარგადაც მღეროდა; რაც შეეხება ბ. ვიკარისაგან ნაჩრექარ წიგნებს, კრძოდ, ინგლისური ენის სახელმძღვანელოს, რომლის მიხედვით ვიკარი მას თურმე ინგლისურს ასწავლიდა, სამწუხაროდ, დღეს დაკარგულია.

მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის უნგრულად თარგმნაში ბელა ვიკარის დამსარედ სულ უკანასკნელ დრომდე სპეციალისტები აცხადებდნენ სამ ქართველს — გიორგი ცისკარაულს, გრიგოლ ილარიონის ძე წერეთელსა და დავით სამსონის ძე თოლორაიას.

მაშინ რა ვუყოთ ბელა ვიკარის მიერ, თუმცა გავერით და ვერების დაუსახელებლად, მაგრამ მაინც, არაერთგზის დაბეჭითებით ნათევამს „სხვა ქართველ სამხედრო ტყვეებთან“ ურთიერთობის შესახებ? ჭ. გაგნიძე, მაგალითად, ამ კითხვას ასე პასუხობს: „...აღნიშნული გარემოება საბაბს არ გვაძლევს ყველა ქართველი, ვისაც

კი ვიკარი ოდესებე შეხვედრია, მის დამტარედ გამოვაცხადოთ<sup>45</sup>. ოლონდ გვაძეს კი უნგრელი მთარგმნელის ცნობაში დაეჭვების საფუძველი?

უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში 1970 წლის ივლისში სამეცნიერო მივლინებით ყოფნისას საშუალება მოგვეცა გაცცნობო-

\* \* \*

ათასად გვარი დაფასდა *athas ad gvaris*  
 ათას ათასად ზღილობა *athas athas ad diloba*  
 თუ კიცი თვითონ არარი *tui kaci t'vithon aroni*  
 მულია გვიჩვენელობა *muuliia gvarichvloba*

\* \* \*

ვერ დაიფარავ ხიჯედილია  
 ვშა ვიწრო, ვერცა კლდოვანია;  
 მიხვდის ეკელანი ერთია,  
 ხუსტი და მუხლითმაღლოვანი,  
 სჯობს ხიცოცხლება ნაძრახსა  
 ხიკვდილი ხახელოვანი.

Ms. 52.03.17

სურ. 9. ბელა ვიკარის აეტოგრაფი

დით ბელა ვიკარის არქივს, რომელიც დაცულია ბუდაპეშტში, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა განყოფილებაში<sup>46</sup>

<sup>45</sup> ქ. გ. ა. გ. ნ. ი. ძ. ე., დას. ნაშრ., გვ. 23.

<sup>46</sup> სხვათა შორის, დღემდე ვერ მოვახდებეთ ბელა ვიკარის არქივის იმ ნაწილის

და გვეპოვა რამდენიმე ახალი დოკუმენტი, კერძოდ, ქართული ჟღელნაშერები: ილია ჭავჭავაძის „ყაფო ყაჩალი“, გ. ჭალადიდელის

Sagol sagol

სურ. 10. ბელა გიკარის ავტოგრაფი

„დედის დარიგება“, გრიგოლ წერეთლისა და დავით თოლორიას მიერ 1915 წელს ჩატარილი ქართულ ხალხურ თამაშობათა, სიმღე-

ნახვა და შესწავლა, რომელიც დაცულია უნგრეთის სოფელ დუნაეეჩე-ში (Dunavecse), ქ. დუნაი-ობრა-რომანი ახლოს, სადაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები გა-  
ტარო და 1945 წლის 22 სექტემბერს, 86 წლის ასაკში, გარდაიცვალა ბელა ვიკარი.

რათა თუ ლექსთა ტექსტები. განსაკუთრებით საინტერესოა თვით ბელა ვიკარის მიერ ლამაზი ქართული ასოებით ჩაწერილი „მრავალუამიერ“, „წუთისოფლის სტუმრები ვართ“, „ათასად ვარი დაფასდა“, „ვერ დაიფარავს სიკვდილსა“ ...გამოირკვა, რომ ბ. ვი-

პახონს ბირჟელათ საწყლენი ბელში

|| წახავანათ რომ მე მომავადეს : ||

მაშინ ანბანი მომცეს მე ბელში

|| ჩა მორხა გასხვა მე გამამგზავრებ . ||

*Le ritme.*

|                |                 |
|----------------|-----------------|
| Ta ta ta ta'   | ta ta ta ta'    |
| Tata ta ta ta' | ta ta ta ta ta' |
| Tata ta ta ta' | tata ta ta ta'  |
| Tata tata ta'  | tata ta ta ta'  |

სურ. 11. ბელა ვიკარის აეტოგრაფი

ქარი ინტენსიურად მუშაობდა ქართული ენის დასაუფლებლად. ორქივში აღმოჩნდა უნგრელი მთარგმნელის მიერ შედგენილი ლექსიკოლოგიური მასალები — ქართული სიტყვები, ქართული საუბრის ნიმუშები, მისალმება,—რომელთა გვერდით ვიკარი იძლევა მათ გერმანულ და ფრანგულ შესატყვისებს.

აღნიშნულ მასალათა შესახებ წინასწარი ცნობები პრესაში გამოვაჭვეყნეთ 1970 წელს<sup>47</sup>, რის თაობაზე, 1972 წელს, ურნალ „მაცნეში“ ჭ. გაგნიძე წერდა: „ამ საკითხთან დაკავშირებით ს ა გულისხმოსალას მიაკვლია ფილოლოგის მეცნი-

<sup>47</sup> ბ. შარაძე, ქართული სიძველენი ბუღაპეშტში, „ლიტ. საქართველო“, 1970, 7. VIII, № 32. (იხ. აქვე, დანართი № 1).



ერებათა კანდიდატმა გ. შარაძემ უნგრეთის სამსახურის  
მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის ხუმურა  
ნაწერთა განყოფილებაში დაცულ ვიკარის არ-  
ქივში. ფოტოფირებზე, რომლებიც შან გად-  
მოგვცა, აღმატებდილია ბ. ვიკარის, გრ. წერეთლის  
და დ. თოლორიას ხელით ჩაწერილი ქართული  
ტექსტები (იხ. გ. შარაძე, ქართული სიძეველენი ბუდაპेशტში,  
გაზ. „ლიტ. საქართველო“ 1970, 7 აგვისტო, №32). ოქივში დაცული  
მასალიდან ნათლად ჩანს, რომ „მრავალი ქართველი სამხედრო  
ტყვედან“ ბ. ვიკარს საქმიანი ურთიერთობა ჰქონია მხოლოდ გრ.  
წერეთლთან და დ. თოლორიასთან“<sup>48</sup>. სტუცვასიტუცით მასვე  
გვიამბობს ჭ. გაგნიძე თავის საკანდიდატო დისერტაციაში 1973  
წელს (იხ. ხელნ., გვ. 26) და ამიტომ აქ იღარ გავიმეორებთ. ეს  
გარემოება ჰქონდა მხედველობაში ნ. მახათაძეს, რომელიც 1974  
წელს ზემოთ აღნიშნულ რეცენზიაში წერდა: „უთუოდ აღსანიშ-  
ნავია ის გარემოებაც, რომ ჭ. გაგნიძის ამ საინტერესო გამოკვლე-  
ვას დიდად შეუწყო ხელი გ. შარაძის მიერ ჭერ კიდევ 1970 წ.  
უნგრეთში მოპოვებულმა საარქივო მასალებმა“.

ამავე საკითხზე მსჯელობისას, 1975 წელს წიგნად გამოცემულ იგი-  
ვი ნაშრომში ჭ. გაგნიძე წერს: „ამ საკითხთან დაკავშირებით ამ ორი  
ათეული წლის წინათ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიო-  
თეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცულ ვიკარის ოქივში საგუ-  
ლისხმო მასალას მიაკვლია უნგრელმა მკვლე-  
ვარმა პალმა შელკენმა (შდრ. Schelken Palma, Emlékezés  
Vikár Bélára, Vikar Béla Emlékünnepség, Kaposvár—Hetes, 1970, გვ.  
16—25). ფოტოფირებზე, რომლებიც მან მოგვა-  
წოდა, აღმატებდილია გრ. წერეთლისა და დ. თოლო-  
რიას ხელით ჩაწერილი სხვადასხვა ქართული  
ტექსტი. ამათგან, ორ ხელნაწერ გვერდზე, რომელიც გრ. წე-  
რეთლს ეცუთნის, მიწერილია თარიღები—1915 წ. 3 ივნისი;  
1915 წ. 22 ივნისი ძველი სტილით (ფონდი Ms—5203/9), რაც გვა-  
ფიქრებინებს, რომ ვეზნისტყაოსნის უკანასკნელი გვერდები 1915  
წლის ზაფხულში ითარგმნებოდა. ოქივში დაცული შასალიდან  
ნათლად ჩანს, რომ „მრავალი ქართველი ტყვედან“ ვიკარს საქმია-  
ნი ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ გრ. წერეთლთან და დ. თოლო-  
რიასთან“<sup>49</sup>.

<sup>48</sup> ჭ. გაგნიძე, ეფთხისტყაოსნის ვიკარისეული უნგრელი თარგმანის  
ისტორიისათვის, „მაცნე“, № 2, 1972, გვ. 153.

<sup>49</sup> ჭ. გაგნიძე, ეფთხისტყაოსნის უნგრული თარგმანები თბ., 1975, გვ.  
23—24.

1956. május 28. 300 folyóirat. E  
 húsz, három az egyik kiadványnak, 28 másiknak körülbelül  
 van, ezenkívül a könyveknek nyolc, könyvgyűjtemények  
 negyedik, ötödik kiadásban is előfordulnak a művek néhány  
 részei, melyeket a könyvgyűjteményekben nem mutatnak.  
 Ezért a könyveknek 28 másiknak. Az 1952. nyugat-európai  
 kiadásban a könyv 183 oldalának 24 oldala a könyv gyűjtemény  
 része; Gyűjtemény, 2., 1950. kiadás. 2000.-2001. 1950.  
 gyűjtemény az 1952-ben kiadott, azaz 239 oldalas az 1952.  
 mű 123 oldalának a könyv 183 oldalának része. 1950. ny  
 316 oldalának 46 oldala a könyv gyűjtemény része.  
 A könyv gyűjtemény része a könyv gyűjtemény része.  
 Ugyan ez a könyv gyűjtemény része, de  
 szabály szerint mindenki a könyv gyűjtemény része.  
 Ezért a könyv gyűjtemény része a könyv gyűjtemény része.  
 Ezért a könyv gyűjtemény része a könyv gyűjtemény része.  
 Ezért a könyv gyűjtemény része a könyv gyűjtemény része.  
 Ezért a könyv gyűjtemény része a könyv gyűjtemény része.

János György

1955. 3/16.

Írás. 12. grúz nyelvű írásíráson belüli díj. Újgyőrben 1955. június 11-én

Ha az előzőetikettet látja, úgy érzi a 3. Székelyföldi Művelődési és Kulturális Szövetség vezetősége, hogy a Magyar Tudományos Akadémia Készirattárában régi elsárgult újságok, jegyzetek között egy, az 1908—9-es évekből származó kis feketé és fedelű vonalas füzetet találtam. A füzetben, amely Víkár Béla kezeirását tartalmazta, meglepetéssel olvastam a grúz nyelvtan szabályait, grúz nyelvtani feladatokat, fogalmazványokat.

$\frac{1}{2} \sin \theta \cos \theta = \frac{1}{2}$

Liberator Godz-Godz myslion.

- 1) շեշտեր հիմք է մայուսակ պահպան պահպան, *Տառ*  
գնահատ զիստ աշխատավոր պահպան պահպան, *Վահե*  
ըստ ուժի ուժից աշխատավոր պահպան պահպան *Տառ*  
կազմութեան համար պահպան պահպան.

Short wings, wings with 2 white fringe feathers,  
in place of ordinary feathers, 2 black spots on wings.

Friarly David Tolrajo.

W. B. D. 1875.

MS. S. 2.0319

სურ. 13. დავით თოლორაიას ავტოგრაფი

(„რამდენიმე წლის წინათ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა განყოფილებაში ძველ, გაყვითლებულ გაზეთებსა და ჩანაწერებს შორის ერთი 1908-09 წლების დროინდელი პატარა შავყდიან, ხაზებიან რვეულს წავიწყდი. რვეულში გაკეთებული ჩანაწერებით ბელა ვიკარის ხელი შევიცანი, გაოცებული ვკითხულობდი შავად ნაწერ ქართული ენის გრამატიკის წესებს, ქართული ენის გრამატიკის სავარგიშვილებს“).

„Nagyon alaposan Készült fel Vikár Béla a mű fordítására. Egy gyorsirásos minden füzetében—legnagyobb



meglepetésemre—Georgiáról készített feljegyzéseket találtam

(„**ძალზე საფუძვლიანად ემზადებოდა ბელა ვიკარი ნაწარმნების თარგმანისათვის.** ერთ საერთო რვეულში, ჩემდა გასაოცრად, ქართული ენიდან გაკეთებულ მის სტენოგრაფიულ ჩანაწერებს წავაწყდი”<sup>50</sup>).

როგორც ვხედავთ, პ. შელკენს აქ არსად არ უწერია ბელა ვიკარის არქივში იღია ჭავჭავაძის, გიორგი ჭალადიდელის თხზულებათა ხელნაწერები, ქართულ ხალხურ სიმღერათა ვიკარის ხელი ჩაწერები და „გრ. წერეთლისა და დ. თოლორაის ხელით ჩაწერილი სხვადასხვა ქართული ტექსტი ვიბოვეო“; ასევე პ. შელკენის მიერ უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში მოპოვებული მასალებიდან არ ჩანს, რომ „მრავალი ქართველი ტყვედან“ ვიკარს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ გრ. წერეთელთან და დ. თოლორაისათან“<sup>51</sup>!

სინამდვილეში პ. შელკენი ლაპარაკობს ბელა ვიკარის 1908—09 წლების რომელილაც „შავყდიან რვეულზე“, რომელშიც თურქე „ქართული ენის სავარჯიშოები“ თუ „სტენოგრაფიული ჩანაწერები“ ყოფილა! პ. შელკენი ამის შესახებ გვიამბობდა ჯერ კიდევ 1959 წელს გ. ჩიმაკაძისთვის მიწოდებულ ცნობაში: „ამ რამდენიმე წელი წინათ უნგრეთის აკადემიის ხელნაწერთა საცავში სიყვათლედაკრულ გაზეთის ფურცლებსა და შენიშვნებს შორის მე წავაწყდი შავ ტყავში ჩასმულ მოზრდილი ზომის რვეულს. იგი დათარიღებული იყო 1908—1909 წლებით. ამ რვეულში ბელა ვიკარის ხელით ჩაწერილია ქართული ენის გრამატიკის წესები და თვით პოემის ნაწილის თარგმანის შავი ვარიანტი“<sup>52</sup>.

პ. შელკენის ეს მონაპოვარი ჯეროვნად შეაფასა მ. იშტვანოვიჩმაც<sup>53</sup>. ხოლო ჩვენ იმავე „ბუდაპეშტელი უურნალისტი ქალის პალმა შელკენის მიერ გამოვლენილი ბელა ვიკარის მოგონებანი ვეფხისტყაოსნის თარგმანზე მუშაობის შესახებ“ საგანვებოდ აღნიშეთ 1970 წელს გამოქვეყნებულ წერილში<sup>54</sup>.

მაშასადამე, სულ სხვაა ბელა ვიკარის არქივში პ. შელკენის

<sup>50</sup> Schelken Pálma, დასახ. ნაშრ., 1970, გვ. 21—22.

<sup>51</sup> გ. ჩიმაკაძე, ქართული კულტურის მოაზაგე, „ღროშა“, № 9, 1959 გვ. 8.

<sup>52</sup> Istvánovits Marton, A magyar Rusztaveliana.., 1970. გვ. 35; ქართ. თარგმ. იხ. „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 117.

<sup>53</sup> გ. ზარაძე, ქართული სიძეველენი ბუდაპეშტში, „ლიტ. საქართველო“ 7. VIII. 1979.

მიერ გამოვლენილი „საგულისხმო მასალა“ და სულ სხვა არის ერთობლივი დღე—ჩვენი<sup>54</sup>.

ახლა კი თეთი საკითხის არსებით მხარეზე: როგორც ვოქვით, ვ. გაგნიძე ეჭვით ეკიდება ბ. ვიკარის ცნობას, რომ მას „ურთიერთობა ჰქონდა მრავალ ქართველ სამხედრო ტყვეს-თან“ და ასეთ დასკვნას გვთავაზობს: „მაგრამ აღნიშნული გა-

### დამარტინი

გამარტინი! როგორად ა ქართვა, ქარგათა.  
tu salut! Wie geht? merci, bien.

კონიერდ გეხდა? ხდე განწყვეტა ქართველა?  
comprenez-vous géorgien? Où vous avez appris géorgien?

ფრანგი. — დადან გორგა? — არ ჰა, დღიუა. ჩვენის ეროვნული პირველი  
არ ხელი(ტეს) არ გრა-ვილი(ტეს) არ გრად. ჩვენი ტეს კონიერდ  
გორგას კუკისტა. რა ხელი ცხვირის გორგა? წ ჩვენი ქართველი  
სოსო. ბეჭის კოდჯი ხოდება, ფრანგი, ხელი, ხელი, ურან ცეცხა-  
ლები. მასცა ასეთი ასონია, ხელი, არ რო, ასამაგა, ას ფრანგი  
ბეჭისი, შესხი, რობი; რა გორგა ხელისა, გორგა... კონტარი კოკ-  
ტეს, კოკორი, ხელი; რა გორგა ხელისა, გორგა... კონტარი კოკ-  
ტეს?

— რა ბეჭისის არა? — ყველა ხახია: ქიხა გარი,  
ძოლების და ბეჭის ხელი ხელი. ბეჭის ქება წ ბეჭის  
რუსის ტ ხახის ხელი ხელი. ბეჭის ქება წ ბეჭის  
რუსის ტ ხახის ხელი ხელი.

### ბეჭისი des village

ბეჭისის — წიგვა შეუტა. — ცოცხა ვახა- ბეჭის  
კონიერდ კონიერდ კონიერდ კონიერდ კონიერდ კონიერდ კონიერდ

გორგა — მა მოხა გვიგვინოთ ხელი. რა გორგა? ციცუ-  
ა კონიერდ. მას ა მოხა მოხა კონიერდ მა კონიერდ მა კონიერდ

მოხა გორგა. — მოგორგა.

ფრანგისა. მოხა გორგა.

ბეჭისის, ბეჭისი, ხელის!

ასონი, ასონი, ჯოს ა დარი!

\* von Lis

სურ. 14. ბეჭისის ვიტოგრაფი

<sup>54</sup> ვ. შარაძე, სამეცნიერო ექსპედიცია უნგრეთში, წიგნში: „არქეოგრა-  
ფიული ძეგანი“, თბ., 1973, გვ. 157—163 (იხ. აქეე, ღანართი № 2).



რემონტის საბაზის არ გვაძლევს ყევლა ქართველი ვისაც კუთხით მდესმე შეხვედრია, მის დამხმარედ გამოვაცხადოთ“, ან კიდევ: „არქივში დაცული მასალიდან ნათლად ჩანს, რომ „მრავალი ქარ-

|                   |         |               |                      |
|-------------------|---------|---------------|----------------------|
| ქართველი ხელუაბი. | ას სახე |               |                      |
| მერი მ ხელი       | ფირმა   | ag            | reicht<br>prächtlich |
| წევლი ჩ ხარი      | ხარი    | bodenlos      | abstumpfen           |
| სახორცი მ მარი    | მარი    | perz. ხასიათი | mittlerweise         |
| კარი ჭ ხარი       | ხარი    | gebäumt       | aber dichten         |
| ბაკაცი ჭ კარი     | კარი    | flach         | hute                 |
| ღერძეცი ჭ ვარი    | ვარი    | hügelig       | hutte                |
| მამი მ ჭ ჭირი     | ჭირი    | grau          | morgen               |
| ღერძი ჭ ჭირი      | ჭირი    | grau          | cafe                 |
| მერი მ ჭ ჭირი     | ჭირი    | grün          | te                   |
| სახი მ ჭ ჭირი     | ჭირი    | grün          | zucker               |
| მერი მ ჭ ჭირი     | ჭირი    | grün          | ein                  |
| მერი მ ჭ ჭირი     | ჭირი    | grün          | zwei                 |
| მოძი მ ჭ ჭირი     | ჭირი    | grün          | drei                 |
| და ჭ ჭირი         | ჭირი    | grün          | vier                 |
| და ჭ ჭირი         | ჭირი    | grün          | fünf                 |
| მერი მ ჭ ჭირი     | ჭირი    | grün          | six                  |
| მერი მ ჭ ჭირი     | ჭირი    | grün          | sieben               |
| მერი მ ჭ ჭირი     | ჭირი    | grün          | 8                    |
| მერი მ ჭ ჭირი     | ჭირი    | grün          | 9                    |
| მერი მ ჭ ჭირი     | ჭირი    | grün          | 10                   |
| მერი მ ჭ ჭირი     | ჭირი    | grün          | 20                   |
| კარი ჭ ჭირი       | ჭირი    | grün-blau     | 30                   |
| კარი ჭ ჭირი       | ჭირი    | grün-blau     | 40                   |
| კარი ჭ ჭირი       | ჭირი    | grün-blau     | 50                   |

სურ. 15. ბელა ვიკარის ავტოგრაფი

თველი ტყვედან“ ვიკარს საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ გრ. შერეთელთან და დ. თოლორაიასთან“<sup>55</sup>.

<sup>55</sup> ქ. გ ა გ ნ ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 23—24.



ვიკარის არქივში 1973 წელს მუშაობის დროს დამატებით განვითარებული ახალი მასალები<sup>56</sup>.

როგორც დავრწმუნდით, მრავალი ქართველი სამხედრო ტყვე-დან ბელა ვიკარს საქმიანი ურთიერთობა მხოლოდ გრ. წერეთლითან და დ. თოლორაიასთან კი არ ჰქონია, არამედ სიჭინავასთან, ბარკალაიასთან, ირაკლი მუქანიანთან, გიორგი კალანდაძესთან, დავით საგაიასთან, ლევარსი მამალაძესთან, აგრეთვე, ოს—იასონ კულუმბეგოვთან და ამ მხრივ, ბელა ვიკარის ცნობა კორექტივს არ საჭიროებს!

ბუნებრივია, ისმის მეორე კითხვაც, განა ყველა აქ დასახელებული ქართველი იღებდა მონაწილეობას ვეფხისტყაოსნის უნგრულად გადათარგმნაში?

თვითონ გრ. წერეთლის მოწმობით, იგი ბ. ვიკარს 1915 წელს შეხვედრია („ამ პროფესორს მე შევხედი ქ. ბუდაპეშტში 1915 წელს“)<sup>57</sup>. ამ დროს „მას ვეფხისტყაოსნის თარგმანი თითქმის დასრულებული ჰქონდა, აკლდა მხოლოდ უკანასკნელი ნაწილი, დაახლოებით ათი-თორმეტი ფურცელის მოცულობით... ამის შემდეგ დაიწყე მასთან სიარული და ეს ათი ფურცელიც გადავთარგმნეთ. მე ვუჟარგმნიდი მას გერმანულად. შემდეგ იგი ლექსავდა უნგრულად“ (იქვე, გვ. 663).

გრ. წერეთლის ამ სიტყვებიდან მაინცდამაინც ისე გამოდის, თათქოს გიორგი ცისკარაულისგან დარჩენილი ადგილების თარგმნაში ვიკარს მხოლოდ იგი დახმარებია. ს. კლდიაშვილის ცნობით კი, ამ საქმეში დავით თოლორაიასაც მიუღია მონაწილეობა<sup>58</sup>. (სხვათა შორის, იგივე გვიამბო დიანა დავითის ასულმა თოლორაიამაც, იხ. ზემოთ), ამის გამო კ. გაგნიძე წერს: „გრ. წერეთლის განცხადება ჩეენ ტენდენციურად მიგვაჩინია. ამას გვაფიქრებინებს, ს. კლდიაშვილის წერილს რომ თავი დავანებოთ, უნგრული პერიოდიკა და ვიკარის არქივში დაცული, მართალია, მცირე, მაგრამ უაღრესად სანდო მასალა, რომელიც გრ. წერეთლის გვერდებით, ვეფხისტყაოსნის უკანასკნელი გვერდების პწყარედის მთარგმნელად დ. თოლორაიასაც აღიარებს“<sup>59</sup>.

<sup>56</sup> გ. შარაძე, სამეცნიერო ექსპედიცია უნგრეთში, „არქეოგრაფიული ძიებანი“, თბ., 1973, გვ. 159; (იხ. აქვე, დანართი № 2); მისივე, ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანი, „ახალგ. კომუნისტი“, 11. II. 1975.

<sup>57</sup> გრ. წერეთლი, ვეფხისტყაოსანი უნგრულ ენაზე, „ლიტ. მემკვიდრეობა“, I, თბ., 1935, გვ. 661.

<sup>58</sup> ს. კლდიაშვილი, არდასავიწყებელი მოღვაწენი, „ლიტ. გაზეთი“, 11. V. 1962.

<sup>59</sup> კ. გაგნიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 25.



ამასთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ვიკარის ტრაქიშვილი ში დაცულია დ. თოლორიას მიერ ჩაწერილი მხოლოდ მეგრული ხალხური ლექსები და ლექსიკოლოგიური მასალა, რომელსაც არა-ვითარი კავშირი არა აქვს ვეფხისტყაოსნის ტექსტთან. ასე, რომ ეს „უაღრესად სანდო მასალა“ არ გამოდგება ამ საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელად.

რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია, რომ ვეფხისტყაოსნით ისე დაინტერესებულ უცხოელ მეცნიერსა და მთარგმნელს, როგორიც ბელა ვიკარი იყო, რომელიმე ქართველთან, და მათ შორის, დავით თოლორიასთან თანამშრომლობა ჰქონდა და მასთან ვეფხისტყაოსნის თაობაზე სიტყვა არ ჩამოეგდო, რაიმე ნიუანსი არ დაეზუსტებინა. მაგრამ ცისკარაულთან ვიკარის თანამშრომლობის შემდეგ ვეფხისტყაოსნის უთარგმნელად დარჩენილი 10—12 ფურცელი არც იმდენ სირთულეს წარმოადგენდა, რომ მასზე რამდენიმე კაცს ემუშავა. ცნობილია, რომ ბელა ვიკარს, გარდა ვეფხისტყაოსნის გადათარგმნისა, როგორც ე. წ. „თურანისტს“ აინტერესებდა კავკასიური ენები, კერძოდ, ქართული და ქართველური ენები. გრ. წერეთელი ამის თაობაზე წერს: „უადგილო არ იქნება აგრეთვე ოღნიშნოთ, რომ ლიტერატურულ მუშაობის გარდა, პროფ. ბელა ვიკარი აწარმოებდა მეცნიერულ მუშაობასაც: აღარებდა ქართულსა და მეგრულს. ამ მიზნით მან გამოიყენა დავით თოლორია არა არ ეცნობდა ბელა ვიკარი ეკუთვნოდა დასავლეთის ფილოლოგთა იმ ჯგუფს, რომელთაც „თურანისტები“ ეწოდებოდათ. მასსოვს, მისი აზრი იყო, რომ მადიარებს (უნგრელებს) ახლანდელ დალექტნის ხალხების, ქართველების და ფინების ენასთან ნათესაური კავშირი აქვს. მასსოვს, ამის შესახებ მას მიწერ-მოწერა ჰქონდა პროფ. შუხართთან და ერთხელ მაჩვენა კადეც შუხართის წერილი, რომელშიაც ის ეთანხმებოდა ვიკარის მიერ გამოთქმულ აზრს „მზე“ სიტყვის შესახებ<sup>60</sup>.

ბელა ვიკარის არქივში ახლად გამოვლენილი მასალები, რომლებსაც აქვე დამატების სახით ვძელდავთ (წიგნის მოცულობის შეზღუდულობის გამო, სამწუხაროდ, აქ ეკრ მოხვდა 1915—16 წლებში „ქართველ სამჯედრო ტყვევებისაგან“ ბელა ვიკარის მიერ შეკრებილი „ქართულ-მეგრულ-სვანურ-აფხაზურ-ოსურ ლექსიკურ შესატყვისობათ მასალები“), სწორედ ამ ცნობის დადასტურებას წარმოადგენს.

შეიძლება ვინმემ იყითხოს, აქ წარმოდგენილ მასალებს რა

<sup>60</sup> გრ. წერეთელი, დასახ. ნაშრ., გვ. 664.

უშუალო კავშირი აქვს ვეფხისტყაოსნის ტექსტთან? მართლაც, მაგრამ მასალები იმდენად ვეფხისტყაოსნის ტექსტს არ ეხება, რამდენადც უფრო ვეფხისტყაოსნის უნგრელი მთარგმნელის ენაზეცნიერულ ინტერესებს, თუმცა მათშიაც გვხვდება წმინდა რუსთველოლოგიური მასალა (მაგალითად, „ათასად ვარი დაფასდა“..., „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა...“)<sup>61</sup>, მაგრამ ეს მასალები, უპირველეს ყოვლისა, გვითვალისწინებს, თუ რამდენად ფლობდა ბელა ვიკარი რუსთველის ენას, თუ როგორ ცდილობდა ევროპელი კაცი ჩაწვდომოდა ქართული ენის სიღრმეებს, მის საიდუმლოებებს და, ამდენად, ავსებს ჩვენს ბუნდოვან წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რამდენად საფუძვლიანად იცოდა ბელა ვიკარმა არა მარტო ქართული ენა და ქართული წერა-კითხვა, არამედ როგორ დაინტერესებას იჩენდა იგი ქართველური ენების (მეგრულ-სვანური), კავკასიური ენებისა (აფხაზური, დალესტნური...) და ოსურისადმი. ეს მასალები უკვე თვალნათლივ გვითვალისწინებს იმასაც, რომ ვეფხისტყაოსნის უნგრელი მთარგმნელი დაინტერესებული ყოფილა არა მარტო რუსთველის პოემით, არამედ სხვა ქართველი მწერლების (ილია ჭავჭავაძე, გიორგი ჭალაძიდელი...) შემოქმედებითაც, აგრეთვე, ქართული ხალხური მუსიკითა და ეთნოგრაფიული ყოფით (იხ. აქვე ქართულ ხალხურ სიმღერათა და თამაშობათა ჩანაწერები...).

მაშასადამე, ვეფხისტყაოსნის პირველი სრული თარგმანის ისტორია ასეთია: ბელა ვიკარმა, მართალია, შეისწავლა და იცოდა ქართული, მაგრამ არა იმდენად, რომ თავისი უფლად და დამოუკიდებლად შეძლებოდა რუსთველის თარგმანი. ამ საქმეში მას დახმარებიან ქართველები. კერძოდ, ვეფხისტყაოსნის უდიდესი ნაწილი 1909—12 წლებში ვიკარს უთარგმნია გიორგი ცისკარაულის დახმარებით, ხოლო ბოლო ნაწილი 1915 წლიდან გრიგოლ ილარიონის ძე წერეთლის მონაწილეობით. პოემის ტექსტის სათანადოდ გასაგებად ვიკარი პირველ შემთხვევაში იყენებდა ესპერანტოს, ხოლო მეორეჯერ—გერმანულ ენას. თარგმანი დასრულდა და გამოიცა 1917 წლს ბუდაპეშტში გამომცემლობა „ათენეუმში“ რომელშიც ჩართულია მიხა ზიჩის 26 ილუსტრაცია, ხოლო გარეკანზე გამოყენებულია ქართველიშვილისეული გამოცემის ყდის მხატვრობა. თარგმანს წინ უძღვის ბელა ვიკარის წინასიტყვაობა, რომელშიც განხილულია რუსთველის პოემის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელო-

<sup>61</sup> ამ ლექსების ვიკარისეული ჩანაწერები, რომლებიც ჩვენ გამოვაჩეულებოთ, უკვე აისახა რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში: იხ. შ. ო ნია ნი, ეკუთვნის თუ არა რუსთველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოკრებეს“, თბ., 1976, გვ. 81.

გა62. ჩაც შეეხება დავით თოლორაიძის და სხვა ქართველებს (გორგი კალანდაძე, დავით საგაია, ლევარისი მამალაძე, ირაკლი მუქბანიანი, სიჭინავა, ბარკალაია, ამათან ერთად, ოს იასონ კულუმბეგოვს), ბელა ვიკარი მათ უმთავრესად იყენებდა ქართული და ქართველური ენების, აგრეთვე, ოსური ენის დაფულებისა და თავისი ენათმეცნიერული მიზნებისათვის, კერძოდ, უნგრული და კავკასიის ხალხთა ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის დასადგენად.

სულ უკანასკნელად უნგრულმა ქართველოლოგმა ლაიოშ ტარდიმ მოგვაწოდა ვენის აღმოსავლეთმცირდნეობის ინსტიტუტის კრებულში 1917 წელს დაბეჭდილი ცნობილი ავსტრიელი ქართველოლოგის, ვენის უნივერსიტეტის პროფესორის რობერტ ბლაიბშტაინერის (1891—1954) ორი მოხსენება<sup>62</sup>, საიდანაც ირკვევა, რომ, გარდა ბ. ვიკარისა, 1917 წლის მაის-ივნისსა და ოქტომბერში, ეგვიპტის ქართველ სამხედრო ტუკეებთან რ. ბლაიბშტაინერსაც უმუშავია და მათგან ჩაუწერია ქართული ფოლკლორული თუ ენათმეცნიერული თვალსაზრისით საინტერესო ტექსტები. პროფ. რ. ბლაიბშტაინერი, გარდა ბ. ვიკარის მიერ ჩამოთვლილი ქართველებისა, ასესენებს ლანჩხუთელ გრიგოლ კალანდარიშვილს, შუხუთელ ვლადიმერ ასკურავას, კოლობნელ მელიტონ ჭოჭუას, თელაველ ვასილ ვახვახიშვილს, ზუგდიდელ სამსონ კვარაცხელიას და, რაც ყველაზე მეტად სიანტერესოა, ფშაველ ივანე წიკლაურს („Von dem Pschawen Iwan C'ik' lauri aus Svindadse, kreis Tiflis, bekam ich eine Volkssage“, გვ. 82; „von dem Pschawen Iwan C'ik' lauri“ aus dem Dorfe Svidnadze bei Marienfeld in Kachetien“..., გვ. 87). ხომ არა აქვს რაიმე კავშირი ამ წიკლაურს ცისკარაულთან, ამან ხომ არ გამოიწვია ვეფხის ტყის ტყაოსნის თარგმანში ვიკარის ნამდვილი დამახსოვრის გიორგის დამახინ ჯება? ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ ამ დროს სხვა ქართველებთან ერთად მაშინდელ უნგრეთში უნგრულ უნგრეთში უნგრულ უნგრების და სადგენად.

მარტონ იშტვანოვიჩის ალიარებით, „ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენ-

<sup>62</sup> ვეფხისტყაოსნის ვიკარისეული თარგმანის ისტორიისა და ანალიზის თაობაზე ვრცლად იხ. გ. გაგნიძე, ვეფხისტყაოსნის უნგრული თარგმანები, თბ., 1975.

<sup>63</sup> Berichte des Forschungsinstituts für Osten und Orient, I, Wien, 1917, გვ. 81—86 შმდ. (იბეჭდება იქვე დამატებაში). შძრ. გ. შარაძე, მიხაილი და ქართული კულტურა, თბ., 1978, გვ. 107—108.

ლის რუსთველის ფასი ეკროპაში ერთ-ერთმა პირველთაგანმა შე-  
 იცნო ბელა ვიკარმა, და არა მარტო შეიცნო, არამედ თავისი ცხოვ-  
 რების მნიშვნელოვანი ნაწილი უძღვნა ქართველოლოგიურ კვლე-  
 ვის, ამ კვლევის მშვერვალს წარმოადგენს უნგრულ ენაზე ამერ-  
 კველებული რუსთველის ტენილება<sup>64</sup>, ხოლო გამოჩენილი უნგრე-  
 ლი მწერალი არპად ზემპლენი ვეფხისტყაოსნის ვიკარისეული თარ-  
 გმანის გამოსულასთან დაკავშირებით „ბუდაპეშტი სემლეში“ 1918  
 წელს წერდა: „ჩვენთვის, უნგრელებისათვის, რუსთველის ქმნილე-  
 ბას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მისი ეროვნული  
 უნგრელებული გამოვიდა უდიდეს უნგრელი ილუსტრატორის მ. ზიჩის  
 სურათებით... ზიჩი ადგილზე მუშაობდა და შეძლო ლრმად ჩასწე-  
 ლომოდა თავისი ილუსტრატორების საგანს, მკითხველს მისი სურათე-  
 ბი ძლიერ უწყობს ხელს, სწორად გაიგოს თვით რუსთველის ნა-  
 წარმოები. კავკასიის ვარსკვლავისათვის ბელა ვიკარს მიხაი ზიჩიმ  
 შეაქცევინა ყურადღება. ვიკარმა, რომელიც მაშინ კალევალას ჭუნგ-  
 ლებში დახეტიალობდა, მიიღო მხატვრის წინადადება და ცოტა  
 ხნის შემდეგ გამართა უცნობი ვარსკვლავისაცენ... კავკასიის შე-  
 მოვლა, თვით იალბუზის მშვერვალზე ასვლა ბავშვური თამაშია  
 ქართული ენის შესწავლასთან შედარებით. ვიკარმა შეისწავლა  
 ქართული და გადათარგმნა ვეფხისტყაოსანი<sup>65</sup>.

ასე შეესხა ფრთხები მიხაი ზიჩის დიდი ხნის ოცნებას მშობ-  
 ლიურ ენაზე ამერიკულებულიყო გენიალური ქართველი პოეტის  
 უკვდავი ქმნილება!

## დანართი № 1

### ქართული სიბოლოენი გუდაპეშტი

ამ ცოტა ხნის წინათ, [1970 წლის ივლისში] ცნობილი უნგრე-  
 ლი ისტორიკოსისა და ქართველოლოგის ლაიოშ ტარდის მიშვევით,  
 საშუალება მქონდა რამდენიმე დღე დამეყო ქალაქ ბუდაპეშტში.  
 უნგრეთში ჩემი ჩასვლის ერთ-ერთ მიზანს, აგრეთვე, შეადგენდა

<sup>64</sup> იხ. ლ. მენაბდე, რუსთაველი და უნგრეთის საზოგადოებრიობა, „მნა-  
 თობი“, 1974, გვ. 187.

<sup>65</sup> ცნობამომაწოდა მ. იშტვან კვიშ მა, რისოვისაც დიდად ვმადლობთ.

1 პირველად დაბეჭდია: „ლიტერატურული საქართველო“, 7. VIII. 1970,  
 № 32. აქევე დაბეჭდილი ფოტოები: 1. ბელა ვიკარის ქართული ჩანაწერები.  
 2. სიაუში, როსტომი იშერს კამესს. 3. მსოფლიო ლიტერატურის ენციკლოპე-  
 დია, ტ. 1, ბუდაპეშტი 1970.

უნგრული საზოგადოებისათვის გამეცნო გასულ წელს ყირიმში გამოვლენილი მიხედ ზიჩის 44 ნამუშევარი. ამთავითვე უნდა აღვნიშნო უნგრელთა დიდი ინტერესი თავიანთი ეროვნული მხატვრის უცნობი ქმნილებებისადმი: ბუდაპეშტის რამდენიმე უურნალმა გამოსაქვეყნებლად მიიღო ჩემ მიერ ჩატანილი ზიჩის ნამუშევართა რეპროდუქციები და გამოკვლევა, ხოლო უნგრეთის რადიოთი მომიხდა სპეციალური გამოსკვლა.

ბუდაპეშტი თამამად შეიძლება ჩაითვალოს ევროპაში ერთ-ერთ ძლიერ ქართველოლოგიურ ცენტრად. ყველაზე კარგად ვიცით აქაურ ქართველოლოგთა—ლაიოშ ტარდისა და მარტონ იშტეანოვიჩის—სახელები. მათს მდიდარ ბიბლიოთეკებში ქართული მხატვრული თუ სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის სიუხვეზე ლაპარაკი ზედმეტია. ლ. ტარდის საკუთარ ბინაზე ქართული მუზეუმიც მოუწყვია, აქ არის ნაბადი, კახური თუ სვანური ქუდები, ქართული ჩოხა და სატევარი, კერამიკა, ჭიდურობა, მათ შორის, კობა გურულის ნამუშევარი, ქართული ხელსაქრის ნიმუშები და ალვანური ხალიჩა... ამას თუ დაუუმატებთ თბილისიდან მომავალ ყოველდღიურ ქართულ პრესას და მასპინძელთა უზადო სტუმართმოყვარეობას, ძლიერ გიჭირს დაიჯერო, რომ უცხოეთში ხარ.

ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, ქართველ საზოგადოებას ზოგი რამ ვაცნობო ბუდაპეშტში მიმდინარე ქართველოლოგიური მუშაობის შესახებ. ლაიოშ ტარდი ამთავრებს თავის სადოქტორო შრომას უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ, რომლის დაცვა თბილისშია ნავარაუდევი. ამას გარდა, განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მის მიერ ევროპულ წყაროებში გამოვლენილი უცნობი მასალები (XVI—XVIII სს.) საქართველოს შესახებ, რაც, უეჭვულად, ჩვენი წყაროთმცოდნეობის შენაძენია.

მარტონ იშტეანოვიჩმა მაცნობა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან ბუდაპეშტში უნივერსიტეტში წაიკითხავს სპეციალურ კურსს: „ქართული ფილოლოგიის შესავალი—1. ქართული ენის საფუძველები. 2. ქართული საისტორიო მწერლობა (ლეონტი მროველი)“. ოღარაფერს ვამზობ მისი ინტენსიური მუშაობის შესახებ ქართული ფოლკლორის საკითხებზე.

აქ, საერთოდ, ყოველი ფეხის ნაბიჯზე იგრძნობა უნგრელ მეცნიერთა ინტერესი ქართული კულტურისა და ყოფისადმი. დოქტორი დიერდ რადო მუშაობს მედებს პრობლემაზე. მისთვის მეტად ძვირფასი აღმოჩნდა აკაკი გაშერელის ნაშრომი „დანტე და პრეისტორიული ხანის საქართველო“ და აკაკი ურუშაძისა და გიორგი ციციშვილის მიერ გაგზავნილი ბიბლიოგრაფიები. ეთნოგრაფიის

ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იშტვან ვინცე სწავლობის ქართველ მეცნიერებისა და მომსახურების მუზეუმის განყოფილების გამგეს ლაიოშ ტაკაშს განსაკუთრებით აინტერესებს ქართული სამკალი იარაღები. მათ ძლიერ სურთ ურთიერთობა ჰქონდეთ ქართველ ეთნოგრაფებთან. ბუდაპეშტელმა უურნალისტმა ქალმა პალმა შელკენმა გამოავლინა ბელა ვიკარის მოგონებანი „ვეზნისტყაოსნის“ თარგმანზე მუშაობის შესახებ. პეტეფის სახელობის ბუდაპეშტის ლიტერატურულ მუზეუმში მაჩევნეს შანდორ პეტეფის ავტოგრაფები და პეტეფის გრიგოლ აბაშიძის ული ქართული თარგმანის გამოცემები. ქ. სენტენდრეში დავესწარი უნგრეთის ეთნოგრაფიული საზოგადოების 82-ე ყრილობას, რომელიც მიძღვნილი იყო აკადემიკოს დ. ორტუტაის დაბადების 60 წლისთავისადმი. ა. ა. დ. ორტუტაი ქართველ მეცნიერთა დიდი მეგობარია, ბალატონის ტბაზე შევხვდი გამოჩენილ უნგრელ მწერალს ლასლო პაშუტის, რომელმაც იმ დღეებში, 70 წლის თავზე, მთავრობის მაღალი ჯილდო მიიღო. იგი უნგრელი ისტორიული პროზის დიდოსტატად არის აღიარებული: „ეს ჩევნი გამსახურდიაო“, — ასე გამაცნ ლაიოშ ტარდიმ. მას თავის რომანებში არაერთი ადგილი აქვს დამობილი საქართველოსთვის. ქართველი მკითხველისათვის ურიგო არ იქნება მისი თარგმა. მწერალმა თბილად მოიგონა შეხვედრები ირაკლი აბაშიძესთან და გადმომცა უნგრელ და ფრანგულ ენებზე დაწერილი მისალმება ქართველი მწერლებისადმი:

„დვირფასო მეგობრებო, საქართველოს მწერლებო!

ჩემი 70 წლისთავის დღეს ძლიერ ბერნიერი ვარ, რომ ოქვენ გიგზავნით ჩემს გულითად მისალმებას და ვისურვებდი თქვენი მშვენიერი ქვეყნის ლიტერატურის აყვავებას და თქვენი ეროვნული კულტურისა საერთოდ.

მე არასოდეს არ დავივიწყებ საქართველოს ჩემი მეგობრის პროფესორ ლაიოშ ტარდის შემწეობით.

გაუმარჯონ საქართველოს! გაუმარჯოს მწერლებს თქვენი მშვენიერი ქვეყნისას.

მარად თქვენი ლასლო პაშუტი.

ბალატონი, 15 ივლისი, 1970.“

მეტად სასიამოვნო აღმოჩნდა მარტონ იშტვანოვრჩის მიერ მომზადებული ნობათი, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიამ სულ ახლახან გამოსცა მსოფლიო ლიტერატურის ენციკლოპედიის პირველი ტომი, აქ უხვადაა წარმოდგენილი ქართული მხატვრული ლიტერატურა და ლიტერატურის მცოდნეობა. ქართველი მწერლე-

**ბილან:** ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, შიო არაგვისპირელებულებისა  
ტონ კათალიკოსი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, მამუკა ბარათაშვილი,  
მარიკა ბარათაშვილი, ვასილ ბარნოვი, ავაკი ბელიაშვილი, ბესიკი,  
ხუტა ბერულავა; ქართველი ლიტერატურისმცოდნები: ოლ. ბარა-  
შიძე, ლ. ასათიანი, გ. აბზიანიძე, დ. ბენაშვილი. ცალკეა დამუშავე-  
ბული „აბესალომ და ეთერი“, „არსენას ლექსი“. წერილების ავტო-  
რია მარტონ იშტვანვიჩი. ტექსტებს ახლავს ი. აბაშიძის, ნ. ბარა-  
თაშვილის, ბესიკის, შ. არაგვისპირელისა და ვ. ბარნოვის პორტ-  
რეტები. ღრმა რწმენით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პირველი  
ევროპული ენციკლოპედია, რომელშიც ასე ფართოდ არის შარ-  
მოდგენილი ქართული მწერლობა და ლიტერატურისმცოდნეობა  
(ჯერჯერობით, მხოლოდ ორი ასოს მიხედვით), ამასთან, მეც-  
ნიერულად ზუსტად და ფაქტზე. ენციკლოპედიის სტატიები-  
დან ცალკეა ალსანიშნავი ცნობილი უნგრელი პროფესორის იოზეფ  
ვეკერდის სტატია: „ბალავარიანის ქართული რედაქციები“. აქ უმ-  
თავრესად გამოყენებულია ილ. აბულაძისა და დ. ლანგის ნაშრომე-  
ბი. მთავარი მაინც ისაა, რომ პროფ. ვეკერდი გასახიარებლად  
თვლის მოსახრებას, რომ „ბალავარიანი“ ქართულიდან არის ბერ-  
ძნულად ნათარგმნი.

აქეოლოგიურ ბიბლიოთეკაში მუშაობისას ჩემი ყურადღება  
მიიპყრო „ლონდონის ილუსტრირებულ უურნალში“ (1967. № 22,  
გვ. 30) გამოქვეყნებულმა სტატიამ: „მითი და რეალობა სპარსულ  
ხელოვნებაში“, რომელიც ეძღვნება ვიქტორიასა და ალბერტის მუ-  
ზეუმში მოწყობილი სპარსული მინიატურების (XV—XIX სს.)  
გამოფენას, ექსპოზიცია ჟედეგენილი ყოფილა ბრიტანეთისა და ირ-  
ლანდიის სახელმწიფო და კურობ კოლექციებიდან. წერილს თან ახ-  
ლავს რამდენიმე ექსპონატის რეპროდუქცია. მათ შორის, სიაუშის  
„როსტომი ქამანდით იჭერს კამუსს“. წერილის ავტორის სიტყვე-  
ბით, „1548 წელს სპარსეთის დედაქალაქი თავრიზიდან გადატანი-  
ლი იქნა სამხრეთით, ყაზინში, რადგან აღრინდელი დედაქალაქი  
ახლოს იყო თურქეთის საზღვართან. „როსტომი ქამანდით იჭერს  
კამუსს“ დახატულია იქ, ისმაილ მეორისათვის, რომლის ხანმკლე-  
ბეფით საშუალებას გვაძლევს მინიატურა დავათარილოთ 1576 ან  
1577 წლებით. მხატვარი იყო ქართველი სიაუში“.

როგორც ვხედავთ, ბრიტანეთში დაცული ყოფილა XVI—  
XVII სს. სპარსეთში მომუშავე ქართველი მხატვრის სიაუშის ჩვე-  
ნი საზოგადოებისათვის უცნობი მინიატურა. დღემდე ჩვენ ვიკო-  
დით მისი მხოლოდ „გაწვრთნილი შევარდენი“, რომელიც ლენი-  
გრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საფარო ბიბლიოთეკაში

რქნა გამოცლენილი და დაბეჭდილია ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის შეილისა და ს. ჯანაშიას ავტორობით გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოში.

უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განცყოფილებაში მოვიყითხეთ „ვეფხისტყაოსნის“ უნგრულ ენაზე პირველი მთარგმნელის ბელა ვიკარის არქივი, რაღაც ვიცოდით, რომ იგი თავის დროს ამ აკადემიის წევრ-კორესპონდენტად (და არა აკადემიკოსად, როგორც ჩენებში წერენ) იყო არჩეული, მართლაც ბელა ვიკარის არქივში წავაწყდით ქართულ მასალებს: Ms. 5203/9, Ms. 5204/6, Ms. 54/1963), 1. ილია ჭავჭავაძის „კაკო ყაჩაღი“ (შესავალი). 2. გ. ჭალადიზელის „დედის დარიგება“ და მისი, ალბათ ვიკარისეული, ფრანგული თარგმანი. 3. გრიგოლ ილარიონის ხე წერეთლის მიერ 1915 წელს ვიკარისათვის ჩაწერილი ქართული ხალხური თამაშობანი (ცხენობია, სტუმრობია, კატა-თა-გვობია, მაღულობია, ფანტი). [აგრეთვე დავით თოლორაიას მიერ ჩაწერილი ქართული ხალხური ლირიკული პოეზიის ნიმუშები].

განსაკუთრებით საინტერესოა თვით ბელა ვიკარის მიერ ჩაწერალი, მისივე ხელით საუცხოო ქართული ასოებით გამოყვანილი ქართული ტექსტები.

საუცხოოდ გამოყვანილი ქართული ასოებით ბელა ვიკარი წერს:

„მრავალ ემიერ  
ღმერთმა ინებოს  
თქვენი სიცოცხლე  
მაღლობელი ვართ  
სადლევრელოსთვის  
არი არალო“.

ან კიდევ:

„წუთი სოფლის სტუმრები ვართ,  
ჩენ წაგალთ და სხვა დარჩება;  
თუ ერთმანეთს არ ვახარებთ —  
იმის მეტი რა შეგვრჩება?“

ამათ გარდა, ვიკარს ჩაუწერია ვარიანტები ცნობილი აფორიზ-შებისა (პირველი მათგანი რუსთველს მიეწერება, მეორე კი ნამ-დვილად რუსთველისაა, იხ. ჩანაწერის ფოტოპირი):

„ათასაღ ვეარი დაფუასდა  
თას ათასაღ ზღილობა,  
თუ კაცი თვითონ არ არის  
ცუდია ვეარიშვილობა“.

„ვერ დაიგარავს სიკედილსა  
 გზა ვიწრო, ერტა კლფოვანნი;  
 მისთვის ყველანი ერთია,  
 სუსტნი და მუხლთალოვანნი,  
 სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა  
 სიკედილი სახელოვანი“.

ბელა ვიკარი, ეტყობა, ინტენსიურად მუშაობდა ქართული ენის დასაუფლებლად. ამის დამამტკიცებელია მის არქივში დაცული ლექსიკოლოგიური მასალები (ქართული სიტყვები, ქართული საუბრის ნიმუშები, მისამება... იქვე ვიკარი იძლევა მათ გერმანულ და ფრანგულ თარგმანს თუ შესატყვისებს).

ამის შემდეგ სანახვი დამრჩა ცნობილი მეცენატისა და არქეოლოგის გრაფ ევგენი ზიჩის (1837—1906) მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში მოწყობილი ექსპედიციის მასალები. დღეს იგი განაწილებული აქვთ ფერენც ჰოპის სახელობის აღმოსავლეთ აზიის მუზეუმსა და ეთნოგრაფიის მუზეუმს. სამეცნიერო ლატერატურაში აღნიშნული ექსპედიცია და მის მეცნ მოპოვებული მასალები მხოლოდ ნაწილობრივაა გაშუქებული (ვგულისხმობ ე. ზიჩის მოგზაურობის 1 ტომს, ბუდაპეშტი, 1897, ფრანგულ ენაშე და ლ. ფერენცის სტატიებს—1955, 1959 წლ.). ამასთან, მათ დღემდე არ შეხებია ქართველი კაცის ხელი, თავი რომ დავანებოთ სპეციალისტ არქეოლოგს ან ეთნოგრაფს. ხოლო მათი უბრალო გადათვალიერებაც კი ქართული სულიერი და ნიეთიერი კულტურის უმდიდრესი განძის შთაბეჭდილებას ტოვებს. რას არ ნახავთ აქ: ბეჭდები, საყურეები, ყელსაყიდები, თავსამკაულები, მკერდის შემკულობა, ნაჯარგი ქამრები, ფატა, ჩიხტი, კაბა, ქართული აკვანი, ხევსურული ხალიჩა, შანდალი და სკამი, აჭარული ჭილის კალათები, ზუგდიდური დანა-წალდი, ყანწები, ქამარ-ხანჯლები, ნამგალი, ტიყი (მმივებიანი), ჩიბუჭი, სავარცხელი, საპირისწამლე, დოლი, დაირა, ნადირობის სცენის გამომსახველი ძველი ჭედურობა....

სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე ზალაში—მიხაი ზიჩის მშობლიურ სოფელსა და სახლ-მუშეუმში ჩასვლა. აგრეთვე არ მომიხერხდა ბეჭლა ვიკარის არქივის სხვა აღგილსამყოფელთა შემოწმება უნგრეთის პროვინციებში (ბუდაპეშტში მისი მხოლოდ ნაწილია დაცული).

ვფიქრობ, საჭიროა და აუცილებელიც, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყოს ექსპედიცია არქეოლოგის, ეთნოგრაფისა და ფილოლოგის შემადგენლობით უნგრეთში დაცული ქართული სიძველეების გამომზეურებისა და მეცნიერული შესწავლისათვის.

## სამიცნიო მჩვიდიცია უზროთში

საქართველო-უნგრეთის კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობებს შორეულ წარსულში აქვს ფესვები გადგმული. ჩვენი ხალხების დახლოების კეთილშობილურ მიზანს განსაკუთრებული ღვაწლი დასდეს მიხაი ზიჩიმ და ბელა ვიკარმა „ვეფხისტყაოსნის“ ზიჩისეული ილუსტრაციები ქართული კულტურის განუყოფელ ნაწილად იქცა, ხოლო პოემის ვიკარისეულმა პირველმა სრულმა უნგრულმა თარგმანმა დიდი როლი ითამაშა ჩვენი ეროვნული გენის პოპულარიზაციის საქმეში.

ცნობილია, რომ ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართული კულტურის ბევრი ძეგლი მოხვდა საზღვარგარეთ და იქ დაიდო ბინა. 1970 წელს, უნგრეთში ყოფნისას, საშუალება მოგვეცა გავცნობილით უნგრულ მუზეუმებსა და სიძველეთსაცავებს, სადაც ქართული სულიერი კულტურის აუარებელი ძეგლი—ხელნაწერები, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული ნივთები, ჭედური და ხელოვნების სხვა ნიმუშები აღმოჩნდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევგენი და მიხაი ზიჩების, დეჩისა და ვიკარის კოლექციები, ამათგან ცნობილმა უნგრელმა არქეოლოგმა და მეცენატმა გრაფმა ევგენი ზიჩიმ ორჯერ იმოგზაურა გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში და ბევრ ქართულ ძეგლს მოუყარა თავი (სხვათა შორის, ევგენი ზიჩის ჩვენს ქვეყანაში იზიდავდა წარმტაცი ლეგენდა, რომლის მიხედვით ზიჩები ციციშვილების შთამომავლობისანი ყოფილან).

საჭირო იყო უნგრეთში დაცული ქართული სიძველეების მეცნიერული შესწავლა და მათი სრული აღწერილობისა და ფოტოპირების საქართველოში ჩამოტანა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ გადაწყვიტა ამ მასალების შესასწავლად უნგრეთში, 4 კვირის ვადით, გაეგზავნა სამეცნიერო ექსპედიცია არქეოლოგის, ეთნოგრაფის, ხელოვნებათმცოდნისა და ფილოლოგის შემადგენლობით. საპროთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა მოიწონა ღინიშნული ექსპედიციის მოწყობის იდეა, შეიტანა საზღვარგარეთ სამეცნიერო მიელინებათა თავის 1973 წლის აპრილ-მაისის გეგმა-

<sup>1</sup> პირველად დაიბეჭდა: გ. შარაძე, არქეოგრაფიული ძიებანი, ობ. 1973, გვ. 157—163; შლრ. გ. შარაძე, ქართული სიძველენი უნგრეთში, გაზ. „სამშობლო“, VIII. 73.



ში და დაამტკიცა მისი შემადგენლობა—პროფესორი ალექსანდრე გალანდაძე, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი გივი ჯავახიშვილი, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი რუსუდან ყენია და ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი გურამ შარაძე.

[1973 წლის] 24 აპრილს უკვე ბუღაპეშტში ვიყავით.

ექსპედიციის წევრებს უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიაში გულთბილი შეხვედრა მოვაწყო აკადემიის გენერალურმა მიტივანმა კონიაშ. მიღებას უნგრელ მეცნიერებს გარდა ესტრებოდა უნგრეთში საბჭოთა საელჩოს მეორე მდივანი თემისურაზ ჩიქოვანი. მათ ექსპედიციება გამოჰქვეს ჩვენი ექსპედიციის მოძმე უნგრეთში ჩასვლის გამო და იგი ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული, კულტურული და მეცნიერული თანამშრომლობის საუკეთესო გამოვლინებად მიიჩნიეს, ამასთან, მუშაობაში ყოველნაირი ხელშეწყობა აღვითქვეს.

ექსპედიციის მიმართ დიდ ინტერესს იჩინდა უნგრეთის რადიო, პრესა, კერძოდ, საშუალება მომეცა გამოცულიყავი უნგრეთის რადიოთი, რომლის დროსაც ხაზი გავუსვი უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიულ ფესვებს, ვილაპარაკე ბუღაპეშტის ქართველობოგებზე და ჩვენი ექსპედიციის მიზნებზე. სხვათა შორის, ეს გამოსვლა გადაიცა მოსკოვის რადიოს პროგრამითაც.

უნგრელმა კოლეგებმა მუშაობისათვის შესანიშნავი პირობები შეგვიძენეს, რათა მაქსიმალურად გამოგვეყენებინა მიღლინებისათვის განკუთვნილი ვადა და წარმატებით შეგვესრულებინა დაგეგმილი პროგრამა.

ბუღაპეშტში ვმუშაობდით ეთნოგრაფიული, ფერწეც პოპის სახელობის აღმოსავლეთ აზიის ხელოვნების მუზეუმებში, ნაციონალურ გალერეაში, უნგრეთის სახელმწიფო მუზეუმში, მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა განყოფილებაში, აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში.

აღმოჩნდა 300-მდე ქართული ეთნოგრაფიული ნივთი, არქეოლოგიური ძეგლი თუ ხელოვნების ნიმუში. მოვახდინეთ მათი სტული აღწერილობა, მეცნიერული დახასიათება და ფოტოფიქსაცია. ჩემთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო უნგრეთის მეცნიერებითა აკადემიის ხელნაწერთა განყოფილებაში მუშაობა. აქ, აურებელა ვიკარის არქივში ვიპოვეთ ილია ჭავჭავაძისა და გიორგი ჭალაძიდელის თხზულებათა ნუსხები, გრიგოლ ილარიონის ძე წერეთლისა და დავით თოლორიას მიერ 1915 წელს ჩაწერილი ქართულ ხალხურ თამაშობათა, სიმღერათა თუ ლექსთა ტექსტები, აგრეთვე, ბელა ვიკარის ქართული ჩანაწერები, რომლებიც მოწმობ-

და მის ქართულ ენაში განსწავლულობას. ამას გარდა, ახლა აჭარიშ კულტურული მომღერლი ხელნაწერების ორი მოზრდილი შეკვრა, რომელიც წარმოადგენს ბელა ვიკარის მიერ შედგენილ ქართულ-მეგრულ-სვანურ ლექსიკონს, ალაგ-ალაგ გვხვდება აფხაზურ-ოსური შესატყვისობანიც.

ლექსიკონი თარიღდება 1916 წლით. გარდა იმისა, რომ აღნიშნული შრომა ქართული დიალექტოლოგიური პარალელური ლექსიკონის შედგენის ერთ-ერთი პირველ ცდათაგანია, იგი გვითვალისწინებს ბელა ვიკარის ღრმა ინტერესებს ქართული და ქართველური ენების ბუნებაში ჩასაწყდომად და სრულიად ახალ ფურცელს შესრულებს ბელა ვიკარის მიერ ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის წარმოსადგენად. ჩვენ დღემდე ხეირიანად არც კი ვიცოდით ვიკარმა ნამდვილად იცოდა თუ არა ქართული ენა, ქართული წერა-კათხვა, მიკვლეული მასალებით ამ საკითხს უკვე შუქი ეფინება. ამას გარდა, გამოვლინდა ქართველთა ახალი სახელები, რომლებიც მციდრო თანამშრომლობაში ყოფილან ბელა ვიკართან. დღემდე ჩვენ ვიცნობდით გიორგი ცისკარაულს (თუ წიელაურს), გრიგოლ წერეთელსა და დავით თოლორაის. ბელა ვიკარი თავის ბუბლიკაციებში ლაპარაკობდა უნგრეთში პირველი მსოფლიო ომის დროს მოხედრილ მრავალ ქართველთან ნაცნობობასა და თაშამშრომლობაშე, მაგრამ მათ სახელებს კი არ ასახელებდა. ამიტომ მათი ვინაობა დღემდე უცნობი იყო. ბელა ვიკარის ხელნაწერულ მემკვიდრეობაში მიეკავნით შათ სახელებსა და გვარებს. ესენია: სიჭინავა, ბარკალაია, ირაკლი მუკბანიანი, გიორგი კალანდაძე, დავით საგაია, აგრეთვე, ოსი—იასონ კულუმბეგოვი. ბელა ვიკარი მათგან იწერს ქართულ, მეგრულ, სვანურ, აფხაზურ, ოსურ სიტრიყვებს, სწავლობს ქართულ მეტყველებას. მინაწერებიდან ირკვევა მათი შეხვედრების დრო და ადგილი: ეგერი, ფრაკოვი, 1916 წელი.

მუშაობა გავაგრძელე უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლურ ხელნაწერთა ინსტიტუტში, რომლის ფონდები ძლიერ მდგარია. აქ ინახება 100 სპარსული, 200 არაბული, 600 მონღლური, 600 თურქული, 1000 ებრაული, 3000 ტიბეტური და თითო სომხური, ეთიოპური, დრავიდული და სასკრიტული ხელნაწერი. ქართული მათ შორის არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ, აქ ბევრი ქართული ნაბეჭდი წიგნი და გამოკვლევაა, კერძოდ, აკაკი შენიძის, არნოლდ ჩიქობავას, ალექსანდრე ბარამიძის, ივანე გიგინეიშვილის, ვარლამ თოთურიასი და სხვების.

უნგრეთის ნაციონალურ მუზეუმში შედის სეჩენის სახელობის ხელნაწერთა მუზეუმი, რომელშიაც ბევრი წერილობითი ძეგლია



დაცული. აქ აღმოჩნდა ცნობილი უნგრელი მწერლისა და მთარგმნელის ნელის არპად ზემპლენის (1865—1919) რეცენზიის ფრაგმენტი „ვეფხისტყაოსნის“ ვიკარისეულ უნგრულ თარგმანზე, რომელიც ზოგიერთ ახალ ფილოლოგიურ ცნობას შეიცავს.

უნგრეთის ეთნოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის ფოტოთეკაში ევგენი ზიჩის კოლექციიდან დარჩენილია შოთა რუსთაველის ვაგარინიდან მომდინარე პორტრეტი.

ბუდაპეშტში მოპოვებული მასალებით უკმაყოფილო არ ვყოფილვართ, მაგრამ გული მაინც ყველას ზალასაკენ მიგვიწვდა, მიხაი ზიჩის მშობლიურ სოფელში მივიჩქაროდთ.

10 მაისს ბუდაპეშტიდან ზალას გაემგზავრეთ. თან გვახლდნენ აქეოლოგი დოქტორი იშტვან ერდეი და ეთნოგრაფი დოქტორი ანტალ ფილე.

გვიარეთ სეკუშფაპერვარი (ძველი სატახტო ქალაქი), ბალატონი, შიოფოვი და ოთხი საათის მგზავრობის შემდეგ ჩავედით სოფელ ზალაში, მიხაი ზიჩის სახლ-მუზეუმში. შენობა აგებულია 1823 წელს. მასზე გაკრულია მემორიალური დაფა, რომელიც დაუმზადებია მოქანდაკე ფერენც შედლოუს 1927 წელს, მიხაი ზიჩის დაბადების 100 წლისთვათან დაკავშირებით. დაფაზე საგულისხმო წარწერაა: „აქედან დაწყოთ თავისი სახელოვანი ცხოვრების გზა მიხაი ზიჩიმ. შომოდის ოჯქის მცხოვრებლებისაგან. 1927 წელი“. ასრულდა 1875 წელს ანტალ ზიჩის მიერ თავისი ძმისადმი მიწერილი სიტყვები: „დადგება დრო და შენი ხალხი შენ მუზეუმს გაგიხსნის“.

მიხაი ზიჩის სახლ-მუზეუმი დღემდე კერძო მუზეუმად ითვლება. მისი დირექტორია ზიჩის შეილიშვილი მარია ალექსანდრა რონოი. მას გულთბილი მიმოწერა აქვს საქართველოში ივანე მაჩაბლის ასულთან ელენე მაჩაბელთან, რომელიც აბასთუმნის ობსერვატორიის ბიბლიოთეკის დირექტორია. არის რაღაც ამაში სიმბოლური, მიხაი ზიჩისა და ივანე მაჩაბელის, მეგობრობა მათს შთამომავლობაშიც რომ ასე გრძელდება. მარია რონოი მეც მიცნობდა, ოლონდ მიხაი ზიჩიზე გამოქვეყნებული შრომებით. ბუნებრივია, რა დიდი იყო ჩენი სურვილი პირადად გვენახა და გავცნობოდით მიხაი ზიჩის შთამომავალს.

მაგრამ იმედი გაგვიცრუვდა! მარია რონოი 18 მარტს თავის ვაჟთან წასულა ამერიკაში, ვაშინგტონში, სადაც სექტემბრის ბოლომდე დარჩება. იგი უკვე 83 წლის მოხუცია, ერთადერთი ვაჟის გარდა, ჰყავს ორი შვილიშვილი.

ქმარი—იშტვან ჩიჩერ-რონოი—უკვე გარდაცვლილია. მისი მშობლები იყვნენ სოფია მიხაის ასული ზიჩი და ტიოდორ ფლეში.

აქ ენახეთ მარია რონის გრაფიკული პორტრეტი შესრულებულობაზე  
1945 წელს გრძო სეგედი-მოლნარის მიერ მეტად ორიგინალური  
ხერხით — ზიჩის სახელოსნოში, ზიჩის ქალალდზე, ზიჩის ფანქრით,  
ზიჩის მანერით. პორტრეტიდან გვიცეროდა შუახანს გადაცილე-  
ბული სიმპატიური დარბასელი ქალი!

მარია რონის ზალაში არყოფნამ გუნება გაგვიფუჭა. ამას ზედ  
შეორე ამბავიც დაერთო: ომის დროს ზიჩის სახლი დაზიანებულა,  
კერძოდ, ბომბი დასცემია სახელოსნოსა და ბიბლიოთეკის. ამის გა-  
მო, გადარჩენილი ხელნაწერები, წიგნები თუ ნივთები სეიფში ჩა-  
შეიტიათ ყოველგვარი აღწერილობისა და კატალოგის გარეშე. მა-  
რია რონის ნებართვის გარეშე კი სეიფის ფონდებში შესვლა არ  
შეიძლებაო—გვაცნობა მუზეუმის მცველმა. რა გაეწყობოდა!—  
დავიწყეთ მუზეუმის მუდმივი ექსპოზიციის დათვალიერება, რომე-  
ლიც ოთხ ოთახშია მოწყობილი. მათგან ყველაზე დიდია ზიჩის სა-  
ხელოსნო. აქ გამოფენილია დიდი მხატვრის ნამუშევრები, პირა-  
დი ნივთები, ფუნჯები, პალიტრა... ბევრია „ვეფხისტყაოსნის“  
ილუსტრაციათა რეპროდუქციები. მხატვრის ნაქონ ნივთებს შორის  
აღმოჩნდა ორი ქართული ვერცხლის სასმისი — კულა და ჭინჭი-  
ლა, შემყული ორნამეტებითა და სხვადასხვა გამოსახულებებით.  
ერთ მათგანზე თარიღიც ამოვიკითხეთ: „1779“. აქვეა ერთი ქარ-  
თული ხალიჩაც. ამ მონაპოვარმა ძლიერ გაგვახარა: მაშასასდამე,  
გადარჩენილა და შორეულ ზალაში ჩაულწევია მიხა ზიჩის მიერ  
საქართველოდან წამოლებულ ნივთებს. მაგრამ ამან კიდევ უფრო  
გაგვიძლიერა ხელნაწერ ფონდებში მუშაობის სურვილი. იქნებ იქ  
რაიმე ქართული ხელნაწერიც იყოს დაცული ან, ყოველ შემთხვე-  
ვაში, „ვეფხისტყაოსნის“ მეუნარგიასეული ფრანგული თარგმანი  
მაინც, რომლის მიხედვით ზიჩიმ გაიცნო რუსთველის პოემის ში-  
ნაარსი და შექმნა ბრწყინვალე ილუსტრაციები. მას შემდეგ, ეს  
თარგმანი დაკარგულად ითვლება. დაიკარგა მისი მეორე ეგზებმდლა-  
რიც, რომლის მიხედვით პოემა რუსულად თარგმნა კონსტანტინე  
ზალმონტმა. ჩვენამდე მოღწეული ცნობების მიხედვით კი, იონა მე-  
უნარგიას „ვეფხისტყაოსნი“ ფრანგულად უთარგმნია სრულად,  
პოემის 1860 წლის დავით ჩუბინაშვილისეული გამოცემის მიხედ-  
ვით, თარგმანი შესრულებული ყოფილა საქმაოდ მაღალმხატვრუ-  
ლად თეთრი ლექსით. ასე რომ, მისი აღმოჩნა ერთბაშად გაამდიდ-  
რებდა რუსთველოლოგიურ მეცნიერებას, საერთოდ, იონა მეუნარ-  
გიას მთარგმნელობით მოღვაწეობას კი უფრო სრულად წარმოვიდ-  
გენდით.

მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ამჭერად არ მოხერხდა: მუზეუმს სა-  
ჩუქრად გადავეცით ჩვენ მიერ ყირიმსა და ზუგდიდში აღმოჩნილი  
4. გურამ შარაძე

მიხაი ზიჩის 60 უცნობი ნამუშევრის ფოტორეპროდუქციებში კულტურული ყავით სოფელ ზიჩ-ში. იგი ზიჩების საგვარეულო სოფელია. მისი სახელიდან მოდის გვარიც—ზიჩ-ი, რაც ქართულად ზიჩ-ელს ნიშნავს. აქ არის ზიჩების საგვარეულო საძვალე და ეკლესია. მიხაი ზიჩის პაპა ამ სოფელში ცხოვრობდა. ორივე სოფელში—ზიჩში და ზალაში—ქარგად იციან საქართველოში ზიჩის ყოფნის შესახებ. ამის თობაზე აქაურ მცხოვრებლებს ლამაზი ლეგენდაც შეუქმნიათ „ვეფხის წიგნის ქვეყანაზე“, რომელიც პირველად 1970 წელს ჩაიწერა უურნალისტმა ვლადიმერ ალფენიძემ.

ჩვენი მივლინების პროგრამით გათვალისწინებული გვერდა უნგრეთში გაშლილი ქართველოლოგიური მუშაობის გაცნობა.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბუდაპეშტში შექმნილია ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი ქართველოლოგიური ცენტრი. ქართული კულტურის საკითხების ასეთი კომპლექსური კვლევა საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში იშვიათია. უნგრელი ქართველოლოგები მუშაობენ ჩვენი სულიერი კულტურის თითქმის ყველა დარგში—ისტორიაში—ლაიონში ტარდი, ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში—მარტონ იშტვანოვიჩი, ლიტერატურულ ურთიერთობებში,—დიერდ რადო, ხელოვნების ისტორიაში—ერექტეტ ტომპოში და კაროლ გომბოში, ანთროპოლოგიაში—ტიბორ ტოტი, წყაროთმცოდნეობაში — მარგიტ ბირო. ამათგან მარტონ იშტვანოვიჩმა, ერექტეტ ტომპოშია და მარგიტ ბირომ თბილისში გაიარეს ასპირანტურის კურსი ქსენია სიხარულიძის, ვახტანგ ბერიძისა და თამაზ გამყრელიძის ხელმძღვანელობით.

ქართველოლოგიური მუშაობა წარმოებს როგორც უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიაში, ისე ბუდაპეშტის უნივერსიტეტში. აქ იყითხება ქართული ენის კურსი, სპეციალურ ჯგუფში მარტონ იშტვანოვიჩის ხელმძღვანელობით სწავლობენ ქართულ ენას. სემიტოლოგიის კათედრის გამგემ პროფესორმა კ. ცეგლედიმ თავის კათედრასთან გახსნა კავკასიური ფილოლოგიის ჯგუფი, მათ შორის, ქართულ წყაროებზე — აგიოგრაფიული მწერლობა, „ქართლის ცხოვრება“, მუშაობს მარგიტ ბირო. ლაიონში ტარდიმ სულ ახლახან (8 მაისს), თბილისში, ისტორიის ინსტიტუტში წარმატებით დაიცვა საღიძეორისო დისერტაცია „გვიან შუა საუკუნეთა ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ“. მარტონ იშტვანოვიჩმა გვითხრა, რომ წელს გამოვა მისი წიგნი „ქართული ხალხური ბალადა“, რომელსაც იგი, აღბათ, საღოტტოროდ წარადგენს. ჩვენი უნგრეთში ყოფნისას გამოვიდა ერექტეტ ტომპოშის შესანიშნავი წიგნი „საქართველო“, რომელიც მიძღვნილია ძველი ქართული ხელოვნები-



საღმი (არქიტექტურა, ცელლის მხატვრობა, ხელნაწერთა შემკულებისა-ლობა-მინიატურები). დიერდ რაფოს ჩაფიქრებული აქვს ორიგინა-ლური თემა „ქართული ლიტერატურა როგორც ევროპული ლიტე-რატურა“. მკვლევარს სურს ზედეას პრობლემის, შოთა რუსთავე-ლისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მაგალითზე და-საბუთოს, რომ ქართული ლიტერატურა არ არის წმინდა აღმოსავ-ლურა ფენომენი, რომ იგი, ამავე დროს, ევროპული ლიტერატუ-რაა. დიერდ რაფო აპირებს საკანდიდატო დისერტაცია რუსთავე-ლის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაიცვას. კაროლ გომბოში, რომელიც ფერწენც პოპის შუზეუმის დირექტო-რია, ძლიერ არის დაინტერესებული ქართული ხელოვნების პოპუ-ლარიზაციით. კერძოდ. მისი დიდი ხელშეწყობით ბუდაპეშტში გასულ წელს მოეწყო კობა ურულის გამოფენა, მისი რედაქტო-რობითა და წინასიტყვაობით გამოიცა ამ გამოფენისაღმი მიძღვნი-ლი წიგნი უნგრულ ენაზე. აკადემიკოსები ორტუტაი და ტოლნაი მუშაობენ ქართული ფოლკლორისა და სტამბის ისტორიის საკით-ხებზე.

უნგრეთში დიდია ინტერესი ქართული ლიტერატურისაში. ცნო-ბილი უნგრელი პოეტი, შანდორ ვეორეში. მუშაობს „ვეფეხსტყაო-სნის“ ახალ უნგრულ თარგმანსა და ქართული პოეზიის ანთოლო-გიის შედგენაზე. ინტენსიურად თარგმნის ქართველ პოეტებს უჟა-რაბი. თამარის ეპოქითაა დაინტერესებული უნგრული ისტორიუ-ლი პროზის დიდოსტატი ლასლო პაშუტი.

უნგრელი მასპინძლები ცდილობდნენ კარგად გაეცნოთ ჩვენ-თვის თავიანთი ქვეყანა და ხალხი. მოვიარეთ თითქმის მოელი უნ-გრეთი, ვნახეთ შესანიშნავი უნგრული ქალაქები და სოფლები, არქიტექტურული ძეგლები, მდიდარი მუზეუმები, გავეცანით შრო-მისმოყვარე ნიჭიერი უნგრელი ხალხის ცხოვრებას. ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვგრძნობდით მათ დიდ სიყვარულს და პატივისცემას ჩვენი ქვეყნისაღმი. ყველაფერი ეს ხომ ჩვენი დროის, ხალხთა შორის სოციალისტური თანამეგობრობის ეპოქის მონაპოვარია!

შენიშვნა: ამ ექსპედიციის შესახებ გამოქვეყნდა აგრეთვე გ. ჭ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს „სამეცნიერო მიერლინება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში“, „მაცნე“ (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), № 2, 1974, გვ. 181—184 (თან ერთის 8 ტაბულა).

## ასაღვები გელა პიკარის არენდაზე

1

ძარღული სიტყვები

|           |                   |               |           |
|-----------|-------------------|---------------|-----------|
| პური      | brot              | დღეს          | heute     |
| წყალი     | wasser            | ხვალ          | morgen    |
| სახლი     | mazon             | ყავა          | kafe      |
| კაცი      | homo              | ჩაი           | te        |
| ვარ-კაცი  | virus             | შაქარი        | zuker     |
| დედა-კაცი | weib              | ერთი          | ein       |
| მამა      | pere              | ორი           | zwei      |
| დედა      | mere              | სამი          | drei      |
| პაპა      | grand pere        | ოთხი          | für       |
| ბებია     | grand mere        | ხუთი          | fünf      |
| შვილი     | sohn              | ექვსი         | sex       |
| ცოლი      | femme             | შვილი         | sieben    |
| და        | soeur (schwester) | რვა           | 8         |
| ძმა       | frere             | ცხრა          | 9         |
| ჩემი      | mein              | ათი           | 10        |
| შენი      | dein              | ოცი           | 20        |
| მოდი      | komm              | ოც-და-ათი     | 30        |
| წალი      | allez             | ორმოცი        | 40        |
| ადექ      | leve-vous         | ორმოც-და-ათი  | 50        |
| დაჭექ     | sitzen            | სამ-ოცი       | 60        |
| კარგი     | gut               | სამოც-და-ათი  | 70        |
| ცუდი      | schlecht          | ოთხმოცი       | 80        |
| ფარი      |                   | ოთხმოც-და-ათი | 90        |
| დღე       | tag               | ასი           | 100       |
| ღამე      | nacht             | ათასი         | 1000      |
| საღილი    | früschtück        | ათი ათასი     | 10000     |
| სამხარი   | mittagessen       | მილიონი       | 1.000.000 |
| ვამშამი   | abendessen        |               |           |

ბელა ვიკარის ავტოგრაფი, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიური მიის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილება (ქვემოთ ყველგან ეს ფონდი იგულისხმება). Ms. 5203/4.

ბელა ვიკარი იწერს ქართულ სიტყვებს, სათაურიც ასეთი აქვს: „ქართული სიტყვები“. გვერდით უწერს ზოგს გერმანულ, ზოგს კიდევ—ფრანგულ შესატყვისებს. ამას გარდა, აღსანიშნავია ისიც, რომ პური, წყალი, სახლი, კაცი, ვაჟ-კაცი, დედა-კაცი, მამა, დედა ვიკარს გაღმოცემული აქვს პიქტოგრაფიულად (პური, წყალი, სახლი, კაცი, და ა. შ.), ე. ი. ხატოვანი დამწერლობის საშუალებით. ფრანგული და გერმანული შესატყვისები ყველა შემთხვევაში ზუსტია. მხოლოდ ერთგან საღილის გერმანულ შესატყვისად ჯერ abendessen დაუწერია, რაც, რასაკვირველია სწორი არ არის, მერე გადაუშლია და ზემოდან სწორად früschtück დაუწერია, ხოლო ფარი უთარგმნელად არის დატოვებული. სულ ჩაწერილია 55 სიტყვა, მათ შორის 23 არსებითი სახელია, 2 ნაცვალ-სახელი, 2 ზედსართავი სახელი, 22 რიცხვითი სახელი, 4 ზმნა, 2 ზმნიზედა.

## 2

### ლაპარაკი

გამარჯობა!—Salut!

როგორა ხარ?—wie geis?

გმადლობთ, კარგათა.—merci, bien.

ქართული გესმის?—comprenez Vous georgien?

სად გისწავლია ქართული? Ou Vous avez apri georgien?

ქალაქში.—au kalak (Tiflis). (ville)

ღიღია ქალაქი?—il est gran—ville? (Tiflis)

ჰო, ღიღია.—Oi, grand.

ჩვენი თფილისი პირველი ქალაქია კავკასიაში.—Notre Tiflis—premier ville au Kaukas.

რა ხალხი ცხოვობს ქალაქში?—quel peupl habit au ville?

ჩვენი ქართველი ხალხი. ბევრია კიდევ სომეხი, თათარი, რუსი, ნემეცი, ფრანცუზი, ბერძენი, აისორი, ოსი; ერთი სიტყვით, ქალაქი—ქოსმოპოლიტი ქვეყანა. Notre georgie peuple. Beaucoup aussi les arméniens, les tatars, les russes, les allemands, les français, les grecs, les assiriens, par un mot, ville (Tiflis)—Kosmopolit pais.

რა რჯულისა არან?—quel religien ils avont?



უკელა ნაირისა: ქრისტიანი, მუსულმანი და ბევრი სხვა სექტები  
ბევრი ენები და ბევრი რჯულები.—taut differents: les chrétiens,  
musulmans et beaucoup autres sekt. beaucoup des langages et beaucoup  
des religions.

ბერი მშიან.—jai faime.

წყალი მწყურს.—jai soif

ცოტა ავათა ვარ.—un peu molade je suis.

ჰაერი გაკლია.—d'air a Vous mank.

მოდი გავისეირნოთ ბაღში.—Alons a nous promener ai jardin.

რა გტკივა?—was schmerzen?

ცოტა თავი მტკივა.—un peu tête faire mal.

მოგირჩება.—Il passera.

შვიდობით(!), ბატონო, ხვალამდინ!—Au revoir, Monsieur,  
jousk au demein!

ბელა ვიკარის ავტოგრაფი, Ms. 5203/4.

სასაუბრო მეტყველების ნიმუშს წარმოადგენს ბელა ვიკარის  
მიერ ჩაწერილი „ლაპარაკი“. ქართული ფრაზები თარგმნილია  
ფრანგულად, მხოლოდ ორ შემთხვევაში გვაქვს ფრანგულის ნაც-  
ვლად „გერმანული გამოთქმები (Wie geis?, Was schmerzen?). ამ  
საუბარში უკელაზე მეტად საინტერესოა ის ფაქტი, რომ ვიკარი  
თ ბილისის შესატყვისად ქალაქს ხმარობს, როგორც ეს  
მიღებული იყო ჩვეულებრივ ქართულ მეტყველებაში. ეტყობა,  
უნგრელი მთარგმნელის კორესპონდენტი კარგი მოქართულე უნდა  
ყოფილიყო. საერთოდ, ვიკარი უშეცდომოდ იწერს ქართულად, ზაგ-  
რამ გვაქვს ზეპირი მეტყველებიდან მომდინარე გამოთქმები (კარ-  
გათა, მშიან, მწყურს, ავათა, შვიდობით).

### 3

ათასად გვარი დაფასდა  
ათას ათასად ზრდილობა  
თუ კაცი თვითონ არარის (!)  
ცუდია გვარიშვილობა.

\* \* \*

ვერ დაიფარავს სიკედილსა  
გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანნი:  
მისთვის ყველანი ერთია (!)

სუსტი და მუხლოთძალოვანი,  
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა  
სიკვდილი სახელოვანი.

შელა ვიკარის ავტოგრაფი: Ms 5203/7. აქვე ვიკარი გვაძლევს  
პირველი აფორიზების ტრანსკრიფციას:

Athasad gvari dapasda  
athas athasad zdiloba  
thu kaci thvithon araris(!)  
cudia gvarišviloba.

ამ ორი აფორიზმიდან უკანასკნელი წარმოადგენს ვარიანტს  
(ალბათ, ზეპირად ჩაწერის გამო!) „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი  
სტროფისა:

„ეერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,  
მისგან გასწორდეს ყოელი, სუსტი და ძალ-გულოვანი;  
ბოლოდ შეყანეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი  
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი!“  
(800; 1957 წ. გამოცემის მიხედვით).

რაც შეეხება პირველ აფორიზმს, როგორც ცნობილია, ტრა-  
დიციული ოვალსაზრისით, იგი შოთა რუსთველს მიეწერება, ოღ-  
ონდ ვიკარისეული ტექსტი წარმოადგენს უცნობ ვარიანტს დღემ-  
დე აქსებულ ყველა ჩანაწერთან შედარებითა

აღნიშნული აფორიზმის უძველესი ჩანაწერი ეკუთხნის თეი-  
მურაზ ბაგრატიონის<sup>1</sup>, ხოლო პირველად 1846 წელს „ქართულ ან-  
დაზად“ გამოაქვეყნა დ. ჩუბინიშვილმა<sup>2</sup>, 1860 წელს კი მან იგი,  
წყაროს მიუთითებლად, შოთა რუსთველის თხზულებად მიიჩნია<sup>3</sup>.  
ამავე აზრზე დარჩა დ. ჩუბინაშვილი თავის უკანასკნელ პუბლიკა-  
ციაში 1887 წელს<sup>4</sup>. დ. ჩუბინაშვილის კვალობაზე ამ ლექსის ავტო-  
რად შოთა რუსთველს აცხადებენ ალ. ხახანაშვილი<sup>5</sup>, ნ. მარი<sup>6</sup>,

<sup>1</sup> გ. შარა ძ. თეიმურაზ ბაგრატიონის ფოლკლორული ჩანაწერები  
„მაცნე“, № 5, 1969; მისივე, თეიმურაზ ბაგრატიონი, II, თბ., 1974, გვ. 14, 18—19,

<sup>2</sup> დ. ჩუბინ ნოვი, ქართული ქრისტომატია..., I, სპბ., 1846, გვ. 394.

<sup>3</sup> ვეფხის-ტყაოსნი..., ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინ ნოვი სა-  
ვან გამმარტებითურთ, სპბ., 1860.

<sup>4</sup> დ. ჩუბინ ნოვი, საუნგე ქართულის ენისა. ქართულ-რუსული ლექ-  
სიკნი, სპბ., 1887, გვ. XXXIX.

<sup>5</sup> ალ. ხახანაშვილი, ქართული სიტყვეერების ისტორია, თბ.,  
1904, გვ. 374—375.

<sup>6</sup> ნ. მარი, ქართველთა ეროვნება, ქუთაისი, 1905, გვ. 51—52.



ა. წერეთელი<sup>7</sup>, მ. ჯანაშვილი<sup>8</sup>, ლ. მეტრეველი<sup>9</sup>, ი. მეგრებულის და სხვები. ოლნიშნულ მოსაზრებას დაბეჭიობით იცავს შ. ონიანი<sup>10</sup>, ხოლო ალ. ბარამიძეს დამარტმუნებლად არ მიაჩნია ეს ცდა<sup>11</sup>.

ბელა ვიკარიც ამ აფორიზმს რომ უყოფმანოდ რუსთველისეულად მიჩნევდა, ეს ჩანს „ვეფხისტყაოსნის“ უნგრული თარგმანის 1917 წლის გამოცემის წინასიტყვაობიდან, სადაც იგი წერდა: „გასაკვირი არ არის, რომ რუსთველის გენის ტრიუმფმა მის წინააღმდეგ ამოქმედა შურით აღსავს ბოროტი მზრახველები. ეს იმანაც განაპირობა, რომ იგი თავის თხზულებაში იმ დროს გაბატონებული იდეოლოგიის საწინააღმდეგო ლიბერალური იდეების წინაშე იხრის ქვედა. იგი აცხადებს, რომ მონა ისეთი ვე ადამიანია, როგორც ფეოდალი, რომ გვარიშვილობა არაფერს ნიშნავს კეთილშობილების გარეშე<sup>12</sup>.

მნელი არ უნდა იყოს იმის მიხვდრა, რომ ბელა ვიკარის ჩვენ მცერ ხაზგასმული სტრიქონები „ათასად გვარი დაფასდას“ პერიფრაზს წარმოადგენს და, მაშასადამე, ამ ლექსის ავტორიად იგი შოთა რუსთველს აღიარებს.

#### 4

### შარგალური სახალხო პიშტა-პიშტ ლიტერატური

I. ვოგანგლი ჩქიმი ჯარგვალც კარ კილერო უმინჯურო, ქვემოთ კირი ჰავიორხოლქ ლურჭულეს მხიარულო, ლოგინც თეში აშემგარდი, მუჭოთ ჩქიჩქ უძუმურო, ტკბილი მაჭირხოლიში ბირა მიმოჩქედ უგემურო.

<sup>7</sup> ა. წერეთელი, თხზულებაზე, ტ. VI, თბ., 1957, გვ. 54, 174, 192.

<sup>8</sup> მ. ჯანაშვილი, თამარ მელე, 1917, გვ. 93.

<sup>9</sup> ლ. მეტრეველი, კაცობა და გვარიშვილობა, გაზ. „ლიტ. საქართველო“, წ. 1938, № 5.

<sup>10</sup> И. Мегрели дзе, Руствели и фольклор, Тб., 1960, გვ. 114-132.

<sup>11</sup> შ. ონიანი, ხალხში გავრცელებული ერთი ლექსის შესახებ, ლიტ. გაზეთი, 1. III, 1957, გვ. 32, ეკუთუნის თუ არა რუსთველს ლექსი „ფილოსოფოსნი შემოქმედს“, თბ., 1976.

<sup>12</sup> ა. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975, გვ. 318.

<sup>13</sup> ი. Rusztaveli, Tariel a párduczboroslovág, Fordította Vikar Béla, Budapest, 1917, Elöször, გვ. 6; ქართულითარგმანი გ. გაგნიძისა კრებულში: „რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში“, II, თბ., 1978, გვ. 105.

III. ვალურუქენი მუ გალოლე, გურც დოგიშინუა,  
სი სოთინი მიღურქენი, მა შხვას ქალემჭირუა,  
ქგმურქენი, დორხვადგქ, თოლემც დოურწკინუა,  
ფართო-ფართოს გეჩიებუქ, ხელაფც დოუფინუა.

---

III. ართი ცოროფას ლური უჩქ, მაჟირას წაფიქრება,  
ცოროფაქ დამასუსტ, ლურც მებჩი ანწი ნება.

---

Freiwillig Dawid Toloraja

დათიკო თოლორაია

---

IV. სი რექ ბევა დო სი რექ თუთა, მანათებელი სი სერიში,  
ტანო ჩე ჯა ოსვისვინა, თუმა გილუ გიშერიში,  
ხუმა მაფშალიაში გილუ, ულა გიჩქ სი სქვერიში,  
ცოროფილც გურც უხარე, მაჟილარი რექ მტერიში.

### Перевод

Ты есть солнце, ты есть луна, светитель ночи  
Телосложением тополя изображаешь, волос ймеешь  
агатовый  
Голос у тебя соловейный, а походка лань,  
Любимца радуешь, а врага убиваешь.

Д. Толорая<sup>1</sup>.

დავით თოლორაიას ავტოგრაფი: Ms. 5203/9; 2ფ.

თოხი ქართული (მეგრული) ხალხური ლექსი, ჩაწერილი „ქი-  
თილი ნებით“ (Freiwillig) დავით თოლორაიას მიერ ბელა ვიკარი-  
სათვის. ბოლოს ერთვის ერთ-ერთი მათგანის („სი რექ ბევა...“) თო-  
ლორაიასეული რუსული თარგმანი, რომელსაც ფანჯრით მიწერილი

<sup>1</sup> რუსულ თარგმანში წაშლილია «изумрудовый», «олейная»; «противника»  
და შესაბამისად ზემოდან დაწერილია: «агатовый», «лань», «врага». სხვა ხელით  
მიწერილია: «Не хороший перевод», „Своеобразие“, „Чернотелка“, „Mensch».



აქებს: «Не хороший перевод». Амავე ხელითაა ნასწორები თურქული ტერმინის ტექსტი: კერძოდ, „თუმა გიღუ გიშერიშ“ დ. თოლორაის უთარგმნია, როგორც «волос имеешь изумрудовый», რომელიც გასწორებულია: «волос имеешь агатовый». დედნისეული „გიშერიშ“ სწორედ „агатовый-ს“ ნიშნავს. ვფიქრობთ იგი გ. წერეთლის გასწორება უნდა იყოს, რადგან იმავე ხელით უწესრიგოდ შესრულებულ სხვა მინაშერებს შორის იკითხება „წერეთლი“.

